

სს „თელასი“

ფინანსური ანგარიშგება

*2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგება
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	10-59

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „თელასის“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „თელასის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ. ქვემოთ მოცემული თითოეული საკითხისთვის, განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩვენივე აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“, აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რითაც შევაფასებდით ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის, ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები წარმოადგენს თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

შემოსავლის აღიარება

ელექტროენერგიის გაყიდვა, როგორც შემოსავლის მთავარი წყარო, ჩვენი აუდიტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. აღნიშნული საქმიანობა ჩვენი ყურადღების ობიექტად ვაქციეთ მისი მაღალი მოცულობის და დაბალი ღირებულების მქონე ტრანსაქციების გამო, რომლებიც საჭიროებს ქვითრის გამოწერას 500,000-ზე მეტი მომხმარებლისთვის და დამოკიდებულია დარიცხვის სწორ სტრუქტურასა და გაანგარიშებაზე საბილინგო სისტემის ფარგლებში. ამასთან, მრიცხველის ჩვენებების წაკითხვის თარიღსა და სააღრიცხვო პერიოდის ბოლო თარიღს შორის დროითი სხვაობის გამო, ანგარიშგების ნებისმიერი თარიღისათვის კომპანიას გაყიდული აქვს გარკვეული რაოდენობის ელექტროენერგია, რომლისთვისაც ჯერ არ არის გამოწერილი ქვითრები მომხმარებლებზე. ისეთი შემოსავლების გაანგარიშება, რომლებიც კომპანიამ გამოიმუშავა, მაგრამ მათზე ქვითრები ჯერ არ წარუდგენია, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აფასებს ხელმძღვანელობა ელექტროენერგიის შესაბამისი მოცულობების მიწოდებას, სხვადასხვა რაოდენობის მომხმარებელთა შორის მათ განაწილებასა და ტექნიკურ დანაკარგებს ანგარიშგების თარიღისათვის. აუდიტის განმავლობაში, შემდეგი პროცედურები ჩავატარეთ:

- შევაფასეთ შემოსავლების აღიარების შერჩეული და დანერგილი პოლიტიკა
- შევამოწმეთ შემოსავლების აღიარების პროცესის შესაბამისი მნიშვნელოვანი შიდა კონტროლები
- ჩავატარეთ ძირითადი ტესტირება, მათ შორის ელემენტების ტესტირება, რომელიც მოიცავდა შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული მრიცხველების ფიზიკურ დათვალიერებასა და მრიცხველის ჩვენების შედარებას საბილინგო სისტემაში არსებულ მონაცემებთან, წლის ბოლოსთვის აღურიცხავი შემოსავლის გაანგარიშებას, მათ შორის მიწოდებული სავარაუდო მოცულობის შეფასებას, რომლებზეც ქვითრები ჯერ არ გამოწერილა.

შემოსავლის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია მე-4(მ), მე-6 და მე-7 შენიშვნებში.

სხვა ინფორმაცია, რომელიც ასახულია კომპანიის 2016 წლის წლიურ ანგარიშში

სხვა ინფორმაცია გულისხმობს წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. 1-ლი თავი, მე-6, მე-7, მე-8, მე-10, მე-13, მე-14, მე-16-დან მე-18 თავების ჩათვლით, 21-ე და 23-დან 25-ე თავების ჩათვლით, ჩვენი აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოვიპოვეთ, ხოლო წლიური ანგარიშის მე-2-დან მე-5 თავების ჩათვლით, მე-9, მე-11, მე-12, მე-15, მე-19, მე-20, 22-ე, და 26-დან 29-ე თავების ჩათვლით წლიურ ანგარიშში ასახული ინფორმაციის მიღებას ჩვენი აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ ველით. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ სხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ვალდებული ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს, ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადგენს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ამასთანავე, სამეთვალყურეო საბჭოს წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში შეიძლება ექვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და, თუ შესაძლებელია, წარმოვადგენთ შესაბამის გარანტიებს.

სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და, შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ, რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გადაწონის ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის რუსლან ხოროშვილი.



რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაი საქართველოს“ სახელით

14 თებერვალი, 2017 წ.

სს „თელასი“
სრული შემოსავლის ანგარიშგება
ათას ლარში

	შენიშვნა	2016	2015
შემოსავალი გაყიდვებიდან	7	395,872	313,247
სხვა შემოსავლები	8	16,067	14,671
შესყიდული ელექტროენერგია	9	(292,731)	(226,410)
ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის		(52,687)	(52,063)
ცვეთა და ამორტიზაცია	15,16	(9,801)	(9,161)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	10	(2,737)	(2,409)
შექმნილი და გაუქმებული რეზერვები, წმინდა	11	684	(4,915)
სხვა საოპერაციო ხარჯები	12	(18,202)	(16,948)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		36,465	16,012
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	13	1,927	1,801
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	13	(1,221)	(1,433)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა		(3,077)	(9,213)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		34,094	7,167
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯები)	14	4,744	(596)
წლის მოგება		38,838	6,571
სხვა სრული (ზარალი)/ შემოსავლები, რომლებიც არ უნდა იქნას კლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში მომდევნო პერიოდებში:			
აქტუარული (ზარალი)/ მოგება დადგენილ შენატანთან პროგრამაზე	23	(138)	223
მოგების გადასახადის ეფექტი	14	20	(33)
სხვა სრული (ზარალი)/მოგება წლის განმავლობაში, მოგების გადასახადის გამოკლებით		(118)	190
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		38,720	6,761
საბაზო და გაზავებული მოგება ერთ აქციაზე (შენიშვნა 21)		0.00034	0.00006

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2017 წლის 14 თებერვალს.

გენერალური დირექტორი
სერგეი კობცევი



ფინანსური დირექტორი
ალექსეი ბალჩუგოვი

10-59 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „თელასი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
ათას ლარში

	შენიშვნა	2016	2015
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	15	199,612	179,446
არამატერიალური აქტივები	16	1,849	1,390
რესტრუქტურული სავაჭრო დებიტორული დავალიანება, გრძელვადიანი ნაწილი	17	3,819	4,644
სხვა გრძელვადიანი აქტივები		105	–
სულ გრძელვადიანი აქტივები		205,385	185,480
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	18	8,941	9,005
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	17	52,121	49,337
გადახდილი ავანსები	19	1,728	1,653
წინასწარ გადახდილი მოგების მიმდინარე გადასახადი	26	–	1,744
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	20	2,419	2,939
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	20	18,447	13,165
სულ მიმდინარე აქტივები		83,656	77,843
სულ აქტივები		289,041	263,323
კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	21	112,429	112,429
დამატებითი შენატანები კაპიტალში	21	25,747	25,747
სხვა რეზერვები	21	(1)	117
გაუნაწილებელი მოგება/(აკუმულირებული ზარალი)		13,084	(25,754)
სულ საკუთარი კაპიტალი		151,259	112,539
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები და თამასუქები	22	15,612	18,935
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	14	–	4,848
ანარიცხები სამართლებრივ სარჩელებზე	11	3,247	3,092
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	23	1,270	1,016
სახელმწიფო გრანტები	24	1,364	1,878
სხვა ვალდებულებები		631	74
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		22,124	29,843
მიმდინარე ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები და თამასუქები	22	5,436	4,941
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	25	83,429	89,717
მიღებული ავანსები		10,242	8,963
სახელმწიფო გრანტები	24	468	447
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	23	76	64
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	26	15,028	14,696
ანარიცხები სამართლებრივ სარჩელებზე	11	876	2,094
გადასახდელი დივიდენდები		18	19
სხვა ვალდებულებები		85	–
სულ მიმდინარე ვალდებულებები		115,658	120,941
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		289,041	263,323

10-59 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „თელასი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
ათას ლარში

	2016	2015
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	476,783	375,333
შესყიდულ ელექტროენერგიაზე მიმწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(290,406)	(220,271)
თანამშრომლებისთვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(53,378)	(53,541)
დღგ და სხვა გადასახადები, გადახდილი მოგების გადასახადის გარდა	(62,952)	(46,825)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები	(28,402)	(17,462)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	41,645	37,234
მოგების გადახდილი გადასახადი	–	(8)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	41,645	37,226
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა დღგ-ის ჩათვლით	(33,667)	(33,656)
გამოყენების შეზღუდული უფლების მქონე ფულადი სახსრების შემცირება EBRD-ის ანგარიშზე	723	787
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	40	192
საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი	1,927	1,293
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(30,977)	(31,384)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების დაფარვა	(4,508)	(20,331)
გადახდილი დივიდენდები	(1)	(8,783)
გადახდილი პროცენტი	(962)	(1,412)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(5,471)	(30,526)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	85	3,223
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება	5,282	(21,461)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში (მე-20 შენიშვნა)	13,165	34,626
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს (მე-20 შენიშვნა)	18,447	13,165

მნიშვნელოვანი არაფულადი ოპერაციები:

2016 წლის ფინანსური და საინვესტიციო საქმიანობა, რომლისთვისაც საჭირო არ გამხდარა ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების გამოყენება:

- ▶ 501 ლარის (2015: 307 ლარი) ღირებულების დემონტირებული ძირითადი საშუალებების გადატანა ძირითადი საშუალებებიდან სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში;
- ▶ 272 ლარის (2015: 143 ლარი) სამართლიანი ღირებულების ძირითადი საშუალებების უსასყიდლოდ მიღება მომხმარებლებისგან (შენიშვნა 8);
- ▶ 1,623 ლარის ოდენობის (2015: 6,573) წინასწარ გადახდილი მოგების მიმდინარე გადასახადის გადატანა სხვა საგადასახადო დავალიანებაში.

10-59 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „თელასი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათას ლარში

	სააქციო კაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება/აკუმულ ირებული ზარალი	სულ
2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	112,429	25,747	(73)	(23,523)	114,580
წლის მოგება	–	–	–	6,571	6,571
წლის სხვა სრული შემოსავლები	–	–	190	–	190
წლის სრული შემოსავლები	–	–	190	6,571	6,761
დივიდენდები	–	–	–	(8,802)	(8,802)
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	112,429	25,747	117	(25,754)	112,539
წლის მოგება	–	–	–	38,838	38,838
წლის სხვა სრული ზარალი	–	–	(118)	–	(118)
წლის სრული შემოსავლები	–	–	(118)	38,838	38,720
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	112,429	25,747	(1)	13,084	151,259

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ლარში

1 ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ

სს „თელასი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. „კომპანიის“ ოფიციალური იურიდიული მისამართია ვანის ქ. 3, თბილისი, 0154, საქართველო.

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის შესყიდვა და განაწილება საყოფაცხოვრებო და სამრეწველო სექტორების მომხმარებლებზე თბილისში, საქართველო. „კომპანია“ შედგება ერთი საოპერაციო სეგმენტისგან. „კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

„კომპანიის“ აქციების საკონტროლო პაკეტი (75.11%) ფლობს Silk Road Holdings B.V (შემდგომში „მშობელი კომპანია“), ხოლო მისი საბოლოო მშობელი კომპანიაა სსს „ინტერ რაო“ (შემდგომში „საბოლოო მშობელი კომპანია“).

საქართველოს მთავრობა აქციების 24.53%-ს ფლობს სს „საპარტნიორო ფონდის“ მეშვეობით. კერძო პირები ფლობენ დანარჩენ 0.36%-ს.

სსს „ინტერ რაო“-ს აკონტროლებს რუსეთის ფედერაციის მთავრობა.

ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ არის დამტკიცებული „მშობელი კომპანიის“ მიერ აქციონერთა კრებაზე. აქციონერთა კრება ჩვეულებისამებრ იმართება წლის პირველ ნახევარში, შესაბამისი ანგარიშგების თარიღის შემდგომ. აქციონერებს აქვთ აღნიშნულ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის უფლება, ანგარიშგების გამოშვების შემდგომ.

2 მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

3 ფუნქციონირებადი საწარმო

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ მიმდინარე ვალდებულებები აღემატებოდა მის მიმდინარე აქტივებს 32,002 ლარით. წმინდა მიმდინარე უარყოფითი პოზიცია ძირითადად გამოწვეული იყო ვადაგასული კრედიტორული დავალიანებით ერთიანი კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიების მიმართ. აღნიშნული დავალიანების უდიდესი ნაწილი მიეკუთვნება წინა პერიოდებს, რომლებიც არ არის განხილული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში და რომელთა განმავლობაში კომპანიის ფინანსური მდგომარეობა არამდგრადი იყო. „კომპანიის“ წმინდა მიმდინარე პოზიცია უარყოფითია 1,417 ლარის ოდენობით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვადაგადაცილებულ ვალდებულებებს დაკავშირებული მხარეების მიმართ.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას:

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

3 ფუნქციონირებადი საწარმო (აწარმო ირებ

- 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანია“ მიიღო უფლებაზე უარის თქმის წერილი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან, რითაც ისინი თმობდნენ უფლებას 2015 წელს წარმოქმნილი 8,550 ლარის დაფარვის მოთხოვნაზე ახლო მომავალში, მინიმუმ 2018 წლის 1 იანვრამდე.
- „შშოელი კომპანიის“ წინაშე ვადაგასული ვალდებულებები 19,415 ლარის ოდენობით დაიფარა 2017 წლის იანვარში (31-ე შენიშვნა).
- 2016 წლის 26 დეკემბერს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის N38 დადგენილებით გაიზარდა გარკვეული ტარიფები ელექტროენერგიის რეალიზაციასა და ტრანზიტზე, რომლებიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს (31-ე შენიშვნა). ეს „კომპანიას“ საშუალებას მისცემს, კიდევ უფრო გააუმჯობესოს თავისი რენტაბელურობა.
- 2016 წელს „კომპანია“ საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო ფულადი სახსრების საკმარისი ოდენობა თავისი საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის განსახორციელებლად.
- „კომპანია“ მოელის 7,431 ლარის (25გ შენიშვნა) ვალდებულებების ჩამოწერას ფულადი ანგარიშსწორების მოთხოვნის გარეშე იმ ფაქტის გამო, რომ ვალდებულება შესრულდა.
- „კომპანია“ ანალიზის შედეგად დაადგინა, რომ მიმდინარე ვალდებულებებში შესული 3,512 ლარის დღგ-ის დავალიანება, რომელიც უკავშირდება გადავადებულ დღგ-ს (26-ე შენიშვნა) გადახდილი უნდა იქნას საგადასახადო ორგანოებისთვის შესაბამისი დებიტორული დავალიანების ამოღების ან ჩამოწერის დროს. ეს თანხა არ არის დისკონტირებული, რადგან შესაბამისი დებიტორული დავალიანების ამოღების ან ჩამოწერის დროის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ბალანსი კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე, მისი მოძრაობა წლიდან წლამდე უმნიშვნელოა, შესაბამისად, 2017 წლის განმავლობაში ეს არ გამოიწვევს რესურსების გადინებას სრული ოდენობით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „კომპანია“ მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

(ა) უცხოური ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ა) უცხოური ვალუტა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

(ბ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც, პერიოდულად, ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის შეცვლა ხდება აუცილებელი, „კომპანია“ ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად სასარგებლო გამოყენების კონკრეტული ვადით და შესაბამისად არიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ხორციელდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ჩანაცვლების ღირებულების სახით, აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწვევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

(ii) ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწის ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

შენობა-ნაგებობები	50 წლამდე
მანქანები და მოწყობილობები	15-30 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5-15 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-20 წლამდე

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ბ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

(iii) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

(გ) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. „კომპანიის“ შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯებისა, არ ხდება და ხარჯი აისახება იმ წლის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი იქნა გაწეული.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ფასდება სასრულად და შეზღუდულია 5-15 წლამდე.

სასრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

„კომპანია“ არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(დ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის. „კომპანია“ თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც „კომპანია“ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს, მიეკუთვნება სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს: სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას (მე-17 შენიშვნა), რესტრუქტურისებულ დებიტორულ დავალიანებას (მე-17 შენიშვნა), შეზღუდულ ფულად სახსრებს (მე-20 შენიშვნა), ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს (მე-20 შენიშვნა).

შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კლასიფიკაციაზე.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი შესყიდვისას დისკონტის ან ნამეტი თანხის, აგრეთვე იმ საკომისიო გადასახდელებისა თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(ი) ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში, ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. სესხებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში, ხოლო სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება საოპერაციო ხარჯებში.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარებული უნდა იყოს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

რესტრუქტურული სავაჭრო დებიტორული დავალიანება

ვადაგადაცილებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოსაღებად „კომპანია“ პერიოდულად აფორმებს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების რესტრუქტურირების ხელშეკრულებებს, რათა მომხმარებლებმა შეძლონ მათი ნაწილ-ნაწილ, ყოველთვიურად გადახდა. „კომპანია“ რესტრუქტურირებულ დებიტორულ დავალიანებას პროცენტს არ არიცხავს; შესაბამისად, რესტრუქტურირების შედეგად მიღებულ ზარალს იგი ასახავს იმ თანხის სახით, რომელიც რესტრუქტურირებულ ვადაგასული დებიტორული დავალიანების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და რესტრუქტურირების თარიღით მის სამართლიან ღირებულებას შორის არსებული განსხვავების ტოლია. რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მსგავსი სესხებისათვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურება

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, „კომპანია“ აფასებს ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“), და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ მომავალ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ შეფასებაც შესაძლებელია.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(ი) ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებიც ურთიერთქმედებაშია ვალდებულებების შეუსრულებლობასთან.

„კომპანია“ ინდივიდუალურად აფასებს თითოეული თავისი ფინანსური აქტივის გაუფასურებას.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფულადი სახსრების მომავალი შეფასებული ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. სავარაუდო სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

აქტივების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საშუალებით, ხოლო ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა გრძელდება შემცირებულ საბალანსო ღირებულებაზე იმ განაკვეთით, რომელიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გაუფასურების ზარალის შესაფასებლად.

საპროცენტო შემოსავალი აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში, მოგებაში ან ზარალში. სესხები და მისაღები ანგარიშები, მათთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს, უზრუნველყოფის ყველა საგანი რეალიზებული ან გადაცემულია „კომპანიისთვის“. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომ დამდგარი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ ჩამოწერების ამოღება მომავალში მოხერხდება, იგი აისახება მოგებაში ან ზარალში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, ან როგორც წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს. „კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემთხვევაში, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით. ამას ემატება გარიგებასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯები.

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს (22-ე შენიშვნა) და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას (25-ე შენიშვნა).

შემდგომი შეფასება

სესხები და კრედიტები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხებისა და კრედიტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის (EIR) გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია შესყიდვის ნებისმიერი დისკონტის ან ნამეტი თანხის, აგრეთვე საკომისიოების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში, ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(ii) ფინანსური ვალდებულებები (გაგრძელება)

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

(ვ) სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს „კომპანიისათვის“.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. გარდა ამისა, ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განხილულია 28-ე შენიშვნაში. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობები მიიღოს ეკონომიკური სარგებელი აქტივის გამოყენების შედეგად მისი მაქსიმალური სარგებლით გამოყენების საფუძველზე, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს გამოიყენებს მაქსიმალური სარგებლით.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ვ) სამართლიანი ღირებულებით შეფასება (გაგრძელება)

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებებისას:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.

„კომპანია“ განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე) ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოს.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, „კომპანია“ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე, როგორც ზემოთ იყო აღწერილი.

(ზ) სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხით სარგებლობის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ისეთი აქტივის შეძენასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან, რომელიც საჭიროებს საშუალოდ 6 თვეს აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის მოსამზადებლად ან გასაყიდად, კაპიტალიზდება ამ აქტივის ღირებულების ნაწილის სახით. სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მისაღებად.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(თ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის „კომპანია“ აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში „კომპანია“ განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი და განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან ხდება ფულადი სახსრების შემოღება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებლად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირება მიმდინარე ღირებულებამდე ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის ხარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება ხორციელდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით. ასეთი გარიგებების არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება შეფასების სხვა შესაბამისი მეთოდი. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით ან სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

„კომპანია“ გაუფასურებას გაანგარიშებას ახორციელებს დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის მეხუთე წლის შემდეგ.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გაუფასურებელი აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

თითოეული საანგარიშო თარიღისათვის ხორციელდება წინა პერიოდში აღიარებული ზარალის შეფასება, რაიმე ნიშნის არსებობის გამოვლენის მიზნით, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, „კომპანია“ აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის შებრუნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაუფასურების ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრისათვის გაკეთებულ დაშვებებში ცვლილებებია შეტანილი. შებრუნება შეზღუდულია ისეთნაირად, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის აღდგენით ღირებულებას, ასევე არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ი) გადასახადები

(i) მოგების მიმდინარე გადასახადი

მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები.

(ii) გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადის დარიცხვა ხორციელდება ვალდებულებების მეთოდის შესაბამისად აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი სხვაობების განსაზღვრის საშუალებით ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების აღიარება ხდება ყველა დასაბეგრი დროებითი სხვაობის შემთხვევაში, შემდეგის გარდა:

- ▶ როდესაც გადავადებული საგადასახადო ვალდებულება წარმოიქმნება გუდვილის, აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას ისეთ გარიგებაში, რომელიც არ წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებას და გარიგების დროისათვის არ ახდენს გავლენას არც სააღრიცხვო მოგებაზე და არც დასაბეგრ მოგება-ზარალზე;
- ▶ შვილობილ, დაკავშირებულ კომპანიებში და ერთობლივ საწარმოში წილობრივ მონაწილეობაში დაბანდებულ ინვესტიციებთან დაკავშირებული გამოქვითვადი დროებითი სხვაობების შემთხვევაში, გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ შესაძლებელია დროებითი სხვაობების შებრუნების ვადების კონტროლი და მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში დროებითი სხვაობების შებრუნება არ მოხდება.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ყველა გამოქვითვადი დროებითი სხვაობის, მომავალ პერიოდში გადატანილი გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის და გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისათვის, რამდენადაც სავარაუდოა, რომ მომავალში მიღებული იქნება დასაბეგრი მოგება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება გამოქვითვადი დროებითი სხვაობის, მომავალ პერიოდზე გადატანილი გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტების და გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის ამოღება, შემდეგის გარდა:

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ი) გადასახადები (გაგრძელება)

(iii) გადავადებული გადასახადი (გაგრძელება)

- ▶ როდესაც გამოქვითვად დროებით სხვაობასთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივი მომდინარეობს აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარებიდან იმ ოპერაციიდან, რომელიც არ წარმოადგენს ბიზნეს კომბინაციას და ოპერაციის დროს არ ახდენს ზეგავლენას არც სააღრიცხვო მოგებაზე და არც დასაბეგრ მოგებაზე ან ზარალზე;
- ▶ დაკავშირებულ კომპანიებში, ერთობლივ საწარმოში წილობრივ მონაწილეობაში ინვესტიციებთან დაკავშირებული გამოქვითვადი დროებითი სხვაობის შემთხვევაში საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება, თუ მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობები შებრუნდება ახლო მომავალში და მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც გამოიქვითება დროებითი სხვაობები.

გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულება გადაფასდება ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის და შემცირდება, თუ მოსალოდნელი აღარ არის საკმარისი დასაბეგრი მოგების მიღება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება გადავადებული საგადასახადო აქტივების მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენება. აუდიარებელი გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაფასდება ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის და მათი აღიარება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია სამომავლო დასაბეგრი მოგების მიღება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება გადავადებული საგადასახადო აქტივების ამოღება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთით, რომელიც სავარაუდოდ იმოქმედებს აქტივის რეალიზაციის ან ვალდებულების გასტუმრების პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების (ეხება გაუნაწილებელ მოგებას) და საგადასახადო კანონების საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების თარიღისთვის.

(iii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- ▶ თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ი) გადასახადები (გაგრძელება)

(iii) დამატებული ღირებულების გადასახადი (გაგრძელება)

ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში. დამატებული ღირებულების გადასახადის გარკვეული თანხა, რომელიც წარმოიქმნა 2006 წლამდე, მხოლოდ მაშინ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას თუ მიიღება ან ჩამოიწერება შესაბამისი დებიტორული დავალიანება. ასეთი დამატებული ღირებულების გადასახადი აღირიცხება, როგორც გადავადებული დამატებული ღირებულების გადასახადი ნომინალური გადასახდელი ოდენობით.

(კ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანაბრებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

(ლ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად „კომპანიას“ აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხის განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯი.

(მ) შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდიდება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. „კომპანია“ შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად გამოდის თუ პრინციპალის აგენტ მხარედ. „კომპანია“ დაასკვნა, რომ იგი მოქმედებს პრინციპალის სახით შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა შეთანხმებაში. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(მ) შემოსავლები (გაგრძელება)

(i) ელექტროენერგიის გაყიდვა

ელექტროენერგიის გაყიდვის აღიარება ხდება საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო სექტორების მომხმარებელთა მიერ ელექტროენერგიის აღრიცხული მოხმარების საფუძველზე.

მრიცხველის ჩვენებების წაკითხვის თარიღსა და სააღრიცხვო პერიოდის ბოლო თარიღს შორის დროითი სხვაობის გამო, ანგარიშგების ნებისმიერი თარიღისათვის „კომპანიას“ გაყიდული აქვს გარკვეული რაოდენობის ელექტროენერგია, რომელიც რეალურად მოხდა, მაგრამ რომლისთვისაც ჯერ არ არის წარდგენილი ანგარიშები მომხმარებლებზე. ისეთი შემოსავლების გამოანგარიშება, რომლებიც „კომპანიამ“ გამოიმუშავა, მაგრამ მათზე ქვითრები ჯერ არ წარუდგენია, ეყრდნობა ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ თარიღამდე მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობის, სხვადასხვა რაოდენობის მომხმარებელთა შორის მისი განაწილებისა და მიწოდებასთან დაკავშირებული ტექნიკური დანაკარგების შეფასებას ანგარიშგების თარიღისათვის. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ განსხვავება ფაქტობრივ შემოსავლებს და სავარაუდო შემოსავლებს შორის, რომლებზეც ქვითრები ჯერ არ არის წარდგენილი, უმნიშვნელოა.

(ii) მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია. სხვადასხვა სახის მომსახურება, რომელსაც „კომპანია“ უზრუნველყოფს თავისი მომხმარებლებისათვის, დეტალურად არის განხილული მე-7 და მე-8 შენიშვნებში.

(iii) საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების აღრიცხვა ხორციელდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (EIR), რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდიანებების დისკონტირებას ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადის ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი აისახება მოგებაში ან ზარალში, ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში, გარდა იმ შემოსავლისა, რომელიც უკავშირდება რესტრუქტურისებულ დებიტორულ დავალიანებაზე დარიცხული დისკონტის ამორტიზაციიდან სარგებელს, რომელიც სხვა შემოსავლის ნაწილში შედის.

(iv) შემოსავალი გარიგებებიდან მომხმარებლების მიერ გადაცემულ აქტივების გამოყენებით

როდესაც „კომპანია“ მომხმარებლებისგან იღებს ძირითადი საშუალებების ერთეულს, იგი ჯერ აფასებს აკმაყოფილებს თუ არა ეს ერთეული აქტივის განსაზღვრებას. თუ „კომპანია“ დაასკვნის, რომ აქტივის განსაზღვრება დაკმაყოფილებულია, იგი გადმოცემულ აქტივს ძირითადი საშუალებების ერთეულად აღიარებს და თავდაპირველი აღიარებისას მის ღირებულებას აფასებს სამართლიანი ღირებულებით.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(მ) შემოსავლები (გაგრძელება)

(iv) შემოსავალი გარიგებებიდან მომხმარებლების მიერ გადაცემულ აქტივების გამოყენებით (გაგრძელება)

ფაისკ (IFRIC) 18-ის „მომხმარებლებისგან აქტივების გადმოცემა“ შესაბამისად, ასეთი ოპერაცია განიხილება შემოსავლების წარმომქმნელ ოპერაციად. „კომპანია“ ჯერ განსაზღვრავს მიღებული აქტივის სანაცვლოდ გაწეული მომსახურების სახეობას, შემდეგ მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სრული ოდენობის სამართლიან ღირებულებას, ამის შემდეგ კი მომსახურების თითოეული სახეობისათვის გამოიყენება შემოსავლების აღიარების კრიტერიუმები.

(ნ) სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს სათანადო საფუძველი ვარაუდისა, რომ ასეთი გრანტი მიღებული იქნება. იმ შემთხვევაში, როდესაც გრანტების მიღება დაკავშირებულია გარკვეულ პირობებთან, მისი აღიარება ხორციელდება ასეთი პირობების დაკმაყოფილების გრანტის არსებობის შემთხვევაში. როდესაც გრანტი შეეხება ხარჯების მუხლს, მისი აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროა გრანტის სისტემატური მისადაგებისთვის იმ ხარჯებთან, რომელთა ასანაზღაურებლად არის განკუთვნილი. როდესაც გრანტი შეეხება აქტივს, მისი აღიარება ხორციელდება გადავადებული შემოსავლის სახით და აისახება მოგებაში ან ზარალში თანაბარი რაოდენობებით შესაბამისი აქტივის სავარაუდო სასარგებლო გამოყენების განმავლობაში.

როდესაც „კომპანია“ იღებს არაფულად გრანტს, ეს აქტივი და გრანტი აისახება მიღებული არაფულადი აქტივების მთლიანი სამართლიანი ღირებულებით.

(ო) შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები

„კომპანია“ იყენებს შრომითი საქმიანობის შემდგომ დადგენილ გადასახდელიან პროგრამას. აღნიშნული გადახდები არ არის დაფინანსირებული.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია დადგენილ გადასახდელიან პროგრამის თანახმად გაცემულ გასამრჯელოებთან, განისაზღვრება პროგნოზირებადი პირობითი ერთეულის მეთოდით.

გადაფასებები, რომლებიც შედგება აქტუარული შემოსულობისა და ზარალისაგან, იმ თანხების გამოკლებით, რომლებიც შედის წმინდა დადგენილ გადასახდელიან პროგრამით გათვალისწინებულ ვალდებულებაზე დარიცხული წმინდა საპროცენტო ხარჯისა, აისახება უშუალოდ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, შესაბამისი ასახვით გაუნაწილებელი მოგების დებეტში ან კრედიტში სხვა სრული მოგების საშუალებით, მათი წარმოქმნის პერიოდში. გადაფასებების რეკლასიფიკაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მომდევნო პერიოდებში არ ხდება.

წარსულში გაწეული მომსახურების ღირებულების ასახვა ხდება მოგებაში ან ზარალში შემდგომი თარიღებიდან ადრეულის მიხედვით:

- ▶ გეგმაში ცვლილებების შეტანის ან სეკვესტრის თარიღი, ან
- ▶ თარიღით, როდესაც კომპანია აღიარებს დაკავშირებულ რესტრუქტურისაგან ხარჯებს.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ო) შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები (გაგრძელება)

წმინდა პროცენტის გაანგარიშება ხორციელდება დისკონტის განაკვეთის გამოყენებით წმინდა დადგენილ გადასახდელიან ვალდებულების მიმართ. ქვემოთ ჩამოთვლილ ცვლილებებს წმინდა დადგენილ გადასახდელიანი პროგრამით გათვალისწინებულ ვალდებულებაში „კომპანია“ აღიარებს მუხლში „ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისათვის“:

- ▶ მომსახურების ღირებულება, რომელიც მოიცავს მიმდინარე მომსახურების ღირებულებას, წარსულში გაწეული მომსახურების ღირებულებას, მოგებას ან ზარალს სეკვესტრების და არასტანდარტული ანგარიშსწორებების მიხედვით;
- ▶ წმინდა საპროცენტო ხარჯი.

(პ) აქციების გამოშვება

აქციების გამოშვებიდან მიღებული სახსრები აისახება აქციების გამოშვებასთან უშუალოდ დაკავშირებული ყველა ხარჯის გამოკლებით. ახლად გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულების ზემოთ მიღებული სახსრები აისახება კაპიტალში დამატებითი შენატანების სახით.

ახლად გამოშვებული აქციების სანაცვლოდ არა ფულადი სახსრების, არამედ სხვა ფინანსური აქტივების მიღების შემთხვევაში, ამ ფინანსური აქტივების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რაც ასევე წარმოადგენს აქციების გამოშვების ღირებულებას. სხვაობა გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებასა და მიღებული ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის აღირიცხება კაპიტალში დამატებითი შენატანების სახით.

როდესაც ახლად გამოშვებული აქციები „კომპანიის“ აქციონერების მიმართ არსებული ვალდებულებების დასაფარად გამოიყენება, „კომპანია“ ამ აქციების გამოშვებას აფასებს დაფარული ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულებით აქციების გამოშვების თარიღისთვის. სხვაობა გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებასა და დაფარული ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის აღირიცხება კაპიტალში დამატებითი შენატანების სახით.

(ჟ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ჟ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად (გაგრძელება)

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

5 გამოცემული სტანდარტები, რომლებიც არ არის შესული ძალაში

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ არის შესული, მოცემულია ქვემოთ. „კომპანია“ აპირებს ამ სტანდარტების მიღებას მათი ძალაში შესვლის შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში.

ფასს (IFRS) 9 "ფინანსური ინსტრუმენტები"

2014 წლის ივლისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ფასს 9-ის "ფინანსური ინსტრუმენტები" ბოლო ვერსია, რომელიც ანაცვლებს ბასსს 39-ს "ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება" და ფასს 9-ის ყველა წინა ვერსიას. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 მოქმედებს წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შესადარისი ინფორმაცია სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები ზოგადად პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული ლიმიტირებული გამონაკლისებით.

ფასს (IFRS) 15 "შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან"

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

5 გამოცემული სტანდარტები, რომლებიც არ არის შესული ძალაში (გაგრძელება)

შემოსავლების ახალი სტანდარტი ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც. „კომპანია“ აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის თარიღისთვის სრული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით. 2016 წლის განმავლობაში „კომპანია“ წინასწარ შეაფასა ფასს 15, რომელიც დაექვემდებარება ცვლილებებს უფრო დეტალური, მიმდინარე ანალიზის პროცესში. გარდა ამისა, „კომპანია“ ითვალისწინებს ბასსს-ის მიერ 2016 წლის აპრილში გამოქვეყნებულ განმარტებებს და თვალს ადევნებს სიახლეებს.

ბასს (IAS) 7 ინფორმაციის გახსნის ინიციატივა – ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში

ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ ცვლილებები შევიდა ბასსს-ის „ინფორმაციის გახსნის ინიციატივის“ ფარგლებში და საწარმოებს ავალდებულებს ისეთი ინფორმაციის წარმოდგენას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებები, ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებებისა და არაფულადი ცვლილებების ჩათვლით. ცვლილების თავდაპირველად განხორციელებისას, საწარმოებს არ მოეთხოვებათ წინა პერიოდებთან შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა. ცვლილებები ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება.

ცვლილებების დანერგვის შედეგად „კომპანია“ დამატებით წამოადგენს განმარტებით შენიშვნებს.

ფასს (IFRS) 16 იჯარა

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასს (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ერთ საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

5 გამოცემული სტანდარტები, რომლებიც არ არის შესული ძალაში (გაგრძელება)

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

6 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მოსაზრებები, შეფასებები და დაშვებები

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგების პერიოდის ბოლოს წარმოდგენილი შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე და პირობითი ვალდებულებების განმარტებით შენიშვნებზე. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

(ა) მოსაზრებები

„კომპანიის“ სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში, ხელმძღვანელობამ გამოთქვა შემდეგი მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე:

(i) მომხმარებლებისაგან მიღებული აქტივების სანაცვლოდ გაწეული მომსახურების განსაზღვრა

„კომპანია“ თავისი მომხმარებლებისგან იღებს ძირითადი საშუალებების ერთეულებს, რომლებიც გამოყენებული უნდა იყოს აღნიშნული მომხმარებლების ქსელთან მისაერთებლად, აგრეთვე მათთვის ელექტროენერგიის მისაწოდებლად. „კომპანიამ“ უნდა შეიმუშაოს მიდგომა მიღებული აქტივების სანაცვლოდ მომხმარებლებისათვის გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით. ყველა ფაქტისა და გარემოების ანალიზის შემდეგ, „კომპანია“ დარწმუნებულია, რომ მომხმარებელთათვის გაწეული მომსახურება მათ მიერ გადმოცემული აქტივების სანაცვლოდ მთლიანად დაკავშირებულია მიერთებასთან და, შესაბამისად, მათი აღიარება ხდება „კომპანიისათვის“ აქტივების გადაცემის და მომხმარებლის ქსელთან მიერთების დასრულების შემდეგ. გაწეულ მომსახურებასთან

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

6 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მოსაზრებები, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(ა) მოსაზრებები (გაგრძელება)

(i) მომხმარებლებისაგან მიღებული აქტივების სანაცვლოდ გაწეული მომსახურების განსაზღვრა (გაგრძელება)

დაკავშირებულ მიდგომას მნიშვნელოვანი ზემოქმედება აქვს შემოსავლების ასახვის დროზე. 2016 წელს მომხმარებელთა მიერ გადმოცემული აქტივებიდან აღიარებულმა შემოსავლებმა შეადგინა 272 ლარი (2015: 143 ლარი) (მე-8 შენიშვნა).

(ii) სახელმწიფო გრანტების აღიარება

„კომპანია“ სახელმწიფო გრანტებს სხვადასხვა ფორმით იღებს. გრანტების უმეტესობის გადაცემა ხდება ისეთი არაფულადი აქტივის სახით, როგორცაა მიწა და ელექტროგადამცემი მოწყობილობა. გადაცემას, როგორც წესი, გარკვეული პირობებიც ახლავს თან, ძირითადად „კომპანიის“ მიერ დამატებითი ინფრასტრუქტურის შექმნასთან ან გადაცემული აქტივების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით (24-ე და 29-ე შენიშვნები). „კომპანიას“ ასევე აქვს სახელმწიფოსგან ნაპატიები დავალიანება, რომელიც ასევე სახელმწიფო გრანტად ითვლება, რადგანაც პატიება გულისხმობს „კომპანიის“ ვალდებულებას, განავითაროს ინფრასტრუქტურა.

სახელმწიფო გრანტების აღიარება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გადაწყვეტილებების მიღებას იმის თაობაზე, შეუძლია თუ არა „კომპანიას“ მათი თანმდევი პირობების დაკმაყოფილება. ამ გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს გრანტებთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარებასა და აღიარების დროზე.

(ბ) შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. „კომპანიამ“ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ზაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება „კომპანიის“ კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება დადგომისთანავე.

(i) მისაღები ანგარიშების გაუფასურების რეზერვი

„კომპანია“ ანგარიშგების თითოეული თარიღისათვის აფასებს ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

6 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მოსაზრებები, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(ბ) შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(i) მისაღები ანგარიშების გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)

ხელმძღვანელობის შეფასებით 70,408 ლარის (2015: 81,725 ლარი) ოდენობის შექმნილი რეზერვი ყველაზე მეტი სიზუსტით ასახავს დებიტორული დავალიანების გაუფასურებით გამოწვეულ შესაძლო ზარალს (მე-17 შენიშვნა).

(ii) რესტრუქტურული ზეგნული სავაჭრო დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანების ამოღების ხელშესაწყობად „კომპანია“ პერიოდულად აფორმებს ხელშეკრულებებს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების რესტრუქტურირების მიზნით, რომლის მიხედვითაც მომხმარებლები დავალიანებას ნაწილ-ნაწილ, ყოველთვიური შენატანების სახით გადაიხდიან. „კომპანია“ რესტრუქტურირებულ სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას რესტრუქტურირების დღეს აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რომელიც მიიღება მოსალოდნელი ყოველთვიური ფულადი ნაკადის შემოდინებების დისკონტირებით იმ პერიოდში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საშუალო საბაზრო განაკვეთის გამოყენებით, საქართველოს ეროვნული ბანკის პერიოდული ბიულეტენის მიხედვით. პროცენტის საბაზრო განაკვეთი და მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადები დიდ გავლენას ახდენს რესტრუქტურირების დღეს ამ დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაზე (მე-17 შენიშვნა).

(iii) დადგენილ გადასახდელიანი პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებები

„კომპანია“, ანგარიშგების ყოველი თარიღისათვის, ახორციელებს მომუშავეთა დადგენილ გადასახდელიანი პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულების შეფასებაში მონაწილე ძირითადი შეფასებებისა და მოსაზრებების ანალიზს.

„კომპანია“ ხელმძღვანელობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის სიკვდილიანობის შესახებ. მოსალოდნელი საპენსიო ასაკი მამაკაცებისთვის განსაზღვრულია როგორც 70 წელი, ხოლო ქალებისათვის 66 წელი. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანია“ აფასებს კადრების დენადობის კოეფიციენტს ფაქტობრივი სტატისტიკით. „კომპანიის“ საპენსიო შეღავათების წლიური ზრდა ნულის ტოლია 2016 და 2015 წლებისთვის. დისკონტირების განაკვეთი, რომელიც გამოყენებულია 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 9.51% (2015: 10.33%) (23-ე შენიშვნა).

7 შემოსავალი გაყიდვებიდან

	2016	2015
საყოფაცხოვრებო სექტორისთვის ელექტროენერგიის მიწოდება	151,010	131,373
კომერციული და სამრეწველო სექტორისთვის ელექტროენერგიის მიწოდება	218,286	156,337
სახელმწიფო სექტორისთვის ელექტროენერგიის მიწოდება	22,086	20,789
ელექტროენერგიის ტრანზიტი	4,490	4,748
სულ შემოსავალი გაყიდვებიდან	395,872	313,247

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

7 შემოსავალი გაყიდვებიდან (გაგრძელება)

ელექტროენერგიის გაყიდვების ტარიფებს საქართველოში არეგულირებს „სემეკი“. კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სამრეწველო მომხმარებლებისათვის გაყიდვების დადგენილი დიფერენცირებული ტარიფი დამოკიდებულია მომხმარებლის ქსელში ჩართვის ძაბვაზე და საყოფაცხოვრებო სექტორის შემთხვევაში, თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობაზეც.

2016 წლის 31 დეკემბრით და 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის „კომპანიისთვის“ დამტკიცებული ტარიფები ასეთი იყო (ტარიფები ქვემოთ მოყვანილ შენიშვნაში არ არის მოცემული ათას ლარში):

მიერთების ძაბვა	მომხმარება	სექტორი	2016 წელი ლარი	2015 წლის 3 სექტემბრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე ლარი	2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 3 სექტემბრამდე ლარი
6000/10,000 ვოლტი		საყოფაცხ. და არასაყოფ.	0,12946	0,12946	0,12618
35/110,000 ვოლტი		საყოფაცხ. და არასაყოფ.	0,11878	0,11878	0,07280
220/380 ვოლტი		არასაყოფ.	0,16740	0,16740	0,13560
220/380 ვოლტი	პირველი 100 კვტ/სთ 101 კვტ/სთ- დან	საყოფაცხ.	0,11000	0,11000	0,08034
220/380 ვოლტი	300 კვტ/სთ- მდე	საყოფაცხ.	0,14400	0,14400	0,10560
220/380 ვოლტი	300 კვტ/სთ-ს ზემოთ	საყოფაცხ.	0,18200	0,18200	0,14998

მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის ტრანზიტიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს „კომპანიის“ მიერ დარიცხულ თანხას იმ ელექტროენერგიის ტრანზიტისათვის, რომელსაც მომხმარებლები პირდაპირ მომწოდებლებისგან ყიდულობენ „კომპანიის“ ქსელების საშუალებით. „სემეკ“-ის მიერ „კომპანიისთვის“ დადგენილი ტრანზიტის ტარიფი განსხვავდება ძაბვის საფეხურიდან გამომდინარე და 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 3 სექტემბრამდე იყო დიაპაზონში 0.00206-0.03600 ლარს მგტ/სთ-ზე. 2015 წლის 3 სექტემბერს „სემეკ“-ის N26 დადგენილებით ტრანზიტის ტარიფები გაიზარდა და მოექცა 0.00705 – 0.05567 ლარის მგტ/სთ-ზე დიაპაზონში. ეს ტარიფები შენარჩუნებული იქნა 2016 წლის განმავლობაში.

2016 წლის 26 დეკემბერს „სემეკ“-ის N38 დადგენილებით ელექტროენერგიის გაყიდვისა და ტრანზიტის გარკვეული ტარიფები გაიზარდა და ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან (31-ე შენიშვნა).

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

8 სხვა შემოსავალი

	2016	2015
სამონტაჟო და სარემონტო მომსახურება (ა)	10,222	9,495
მოსაკრებლების შეგროვების საფასური (ბ)	2,400	2,268
სარგებელი რესტრუქტურისებულ დებიტორულ დავალიანებაზე დარიცხული დისკონტის ამორტიზაციიდან (მე-17 შენიშვნა)	1,464	1,608
სახელმწიფო გრანტები (24-ე შენიშვნა)	580	472
გაუფასურების გაუქმება	415	—
მომხმარებლებისგან მიღებული აქტივები	272	143
სხვა შემოსავალი	714	685
სულ სხვა შემოსავლები	16,067	14,671

(ა) სამონტაჟო და სარემონტო მომსახურება

მომხმარებლები, რომლებსაც არა აქვთ შესაბამისი ტექნიკური ცოდნა, მიმართავენ „კომპანიას“ სამონტაჟო და სარემონტო მომსახურების მისაღებად. ჩვეულებრივ, ამგვარი სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოები არ ატარებს გრძელვადიან ხასიათს და მიღებული შემოსავლები დამოკიდებულია შესრულებული სამუშაოს მოცულობასა და სირთულეზე.

(ბ) მოსაკრებლების შეგროვების საფასური

მოსაკრებლების შეგროვების საფასური დაკავშირებულია შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ და თბილისის დასუფთავების სამსახურისთვის მოსაკრებლების შეგროვებისათვის გაწეულ მომსახურებასთან, რაც ელექტროენერგიის საფასურის გადასახდელი ქვითრით ხორციელდება, რადგან „კომპანია“ კომუნალური მომსახურების სხვა მომწოდებლებზე უკეთესი ბილინგის სისტემა და ინფრასტრუქტურა აქვს, სხვა მომწოდებლებისთვის უფრო მოსახერხებელია ბილინგის და მოსაკრებლის შეგროვების ფუნქციების აუტსორსინგი „კომპანიაზე“.

9 შესყიდული ელექტროენერგია

	2016	2015
შესყიდული ელექტროენერგია	206,359	176,916
ენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისთვის („ესკო“)		
გადასახდელი სარეზერვო სიმძლავრის გადასახადი	46,340	18,837
ელექტროენერგიის გადაცემა და დისპეტჩერიზაცია	40,032	30,657
სულ შესყიდული ელექტროენერგია	292,731	226,410

„კომპანია“ ელექტროენერგიას ძირითადად ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან ყიდულობდა (30-ე შენიშვნა).

10 გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა

	2016	2015
ქონების გადასახადი	1,356	1,244
ელექტროენერგიის დანაკარგებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი (ა)	1,205	569
სხვა	176	596
სულ გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	2,737	2,409

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

10 გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა (გაგრძელება)

(ა) ელექტროენერგიის დანაკარგებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი

2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდისთვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაშვებული ელექტროენერგიის დანაკარგები შეადგენდა არა უმეტეს 12.4% (დანაკარგების მისაღები დონე). 2015 წლის 1 სექტემბრიდან „სემეკ“-ის N25 დადგენილების საფუძველზე ელექტროენერგიის დანაკარგების მისაღები დონე შემცირდა 5.34%-მდე.

ფაქტობრივი დანაკარგები წარმოადგენს სხვაობას ნებისმიერ მოცემულ თვეში „კომპანიის“ მიერ მიღებულ რაოდენობასა და „კომპანიის“ მომხმარებლებისთვის განსაზღვრულ თვეში დარიცხულ ელექტროენერგიას შორის. თუ ფაქტობრივი დანაკარგები აღემატება დანაკარგების მისაღებ დონეს, საგადასახადო კოდექსი მოითხოვს დამატებითი დანაკარგების დისკონტირების ასახვას დაბეგვრის მიზნებისათვის. ამგვარად, სსკ-ის თანახმად, ნებისმიერი სხვაობა ფაქტობრივ დანაკარგებსა და დანაკარგების მისაღებ დონეს შორის განიხილება, როგორც „კომპანიის“ მიერ განხორციელებული დასაბეგრი მიწოდება და, შესაბამისად, ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრასა და დასაბეგრი მოგების კატეგორიაში შეტანას მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

„კომპანიის“ საშუალო წლიურმა დანაკარგებმა 2016 წელს დაახლოებით 5.71% (2015: 6.03%) შეადგინა. ამან გამოიწვია დამატებითი დღგ ვალდებულების დარიცხვა, რომელიც „კომპანიამ“ ვერ ამოიღო მომხმარებლებისგან და ხარჯად აღიარდა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

11 შექმნილი და გაუქმებული რეზერვები, წმინდა

2016 და 2015 წლებში ანარიცხებსა და რეზერვებში მოძრაობის ანალიზი ასეთია:

	სავაჭრო დებიტო- რული დავალიანე- ბის რეზერვი (ა)	რესტრუქტუ- რიზებული სავაჭრო დებიტო- რული დავალიანე- ბის რეზერვი (ა)	სხვა დებიტო- რული დავალიანე- ბის რეზერვი (ა)	რეზერვი გადახდილი აგანსების- თვის (ბ)	რეზერვი იურიდიული სარჩელე- ბისთვის (გ)	წინასწარ გადახდილი ის რეზერვი, მოგების გადასახადის გარდა (დ)	სულ
1 იანვარი 2015	78,199	783	6,016	908	4,658	3,259	93,823
დამატებითი დანარიცხები / (შებრუნება) პერიოდისათვის	2,235	(52)	1,453	78	1,201	–	4,915
ანარიცხების დროითი შეფასების ცვლილება პერიოდის განმავლობაში გამოყენებული დისკონტი	–	–	–	–	(508)	–	(508)
	(5,906)	–	(1,003)	(57)	(165)	–	(7,131)
31 დეკემბერი 2015	74,528	731	6,466	929	5,186	3,259	91,099
დამატებითი დანარიცხები / (შებრუნება) პერიოდისათვის	288	(158)	(28)	(752)	(34)	–	(684)
ანარიცხების დროითი შეფასების ცვლილება პერიოდის განმავლობაში გამოყენებული დისკონტი	–	–	–	–	79	–	79
	(11,286)	–	(133)	(157)	(1,108)	–	(12,684)
31 დეკემბერი 2016	63,530	573	6,305	20	4,123	3,259	77,810

(ა) სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი

დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა (მე-17 შენიშვნა).

(ბ) რეზერვი გადახდილი აგანსებისათვის

2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, თანხა წარმოადგენს მომწოდებლებისა და კონტრაქტორებისათვის გადახდილი აგანსების რეზერვს.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

11 შექმნილი და გაუქმებული რეზერვები, წმინდა (გაგრძელება)

(გ) რეზერვი იურიდიული სარჩელებისთვის

„კომპანია“ აფასებს უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას როგორც არსებულ, ასევე წარმოებაში მიღებულ სასამართლო საქმეებთან დაკავშირებით, სადაც „კომპანია“ გამოდის მოსარჩელე მხარედ. თუ „კომპანიის“ აზრით უარყოფითი გადაწყვეტილების გამოტანის რეალური რისკი არსებობს, იგი ახორციელებს შესაბამისი რეზერვის ფორმირებას. ყველა სხვა ცნობილი საქმე განხილულია პირობითი ვალდებულებების კატეგორიაში, 29-ე შენიშვნაში.

მოქალაქე არმენ დავითიანმა, რომელიც 2005 წელს სს „თელასის“ მაღალი ძაბვის ქვეშ მოხვედრის შედეგად უნარშეზღუდულია, 2012 წელს სს "თელასის" წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და ფიზიკური და მორალური ზიანისთვის 3,616 ლარის ანაზღაურება მოითხოვა. აღნიშნულზე თბილისის საქალაქო სასამართლომ 2012 წლის 21 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც 2012 წელს აღიარებული იქნა 896 ლარის რეზერვი. სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებისა და უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების მიხედვით, „კომპანია“ გახდა ვალდებული გადაეხადა არმენ დავითიანისთვის 617 ლარი. თანხა გადახდილ იქნა 2016 წლის 15 აგვისტოს.

2016 წლის 23 დეკემბერს უზენაესმა სასამართლომ „კომპანიას“ დააკისრა დამატებითი 200 ლარი, რომელიც 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში. სს „თელასი“ ვალდებულია ყოველთვიურად არმენ დავითიანს გადაუხადოს 3 ლარი მისი სიცოცხლი განმავლობაში. „კომპანიის“ შეფასებით ამ ვალდებულების მიმდინარე ღირებულება შეადგენს 279 ლარს, რომელიც აღრიცხულია სხვა ვალდებულებებში.

2014 წლის 10 დეკემბერს სს „საქართველოს რკინიგზამ“ შეიტანა სარჩელი „კომპანიის“ წინააღმდეგ სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული კაბელის უკანონო გამოყენებისათვის ელექტროენერგიის ტრანზიტის მიზნით, ასანაზღაურებელმა თანხამ შეადგინა 2,535 ლარი. სასამართლო პროცესი არ არის ჯერ-ჯერობით დასრულებული, მაგრამ „კომპანიამ“ 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოახდინა 2,535 ლარის რეზერვირება ამ დავასთან დაკავშირებით. რეზერვის მიმდინარე ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,299 ლარს (2015: 2,219 ლარი).

2012 წელს „კომპანიამ“ სამსახურიდან დაითხოვა რიგი თანამშრომლებისა, რომლებმაც შემდეგ სარჩელი შეიტანეს „კომპანიის“ წინააღმდეგ. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეიქმნა რეზერვი 1,770 ლარის ოდენობით, გათავისუფლებული თანამშრომლებისათვის სავარაუდო კომპენსაციებისთვის (2015: 1,930 ლარი). რეზერვის მიმდინარე ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,605 ლარს (2015: 1,750 ლარი).

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიამ“ გამოიყენა 10.2% დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთი (2015: 10.5%), გმელვადიანი რეზერვების დასადისკონტირებლად.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

11 შექმნილი და გაუქმებული რეზერვები, წმინდა (გაგრძელება)

(დ) წინასწარ გადახდილი გადასახადების რეზერვი

რეზერვი დაკავშირებულია „კომპანიის“ მიერ დღგ-ის დაბრუნების მოთხოვნასთან, რაზეც მას საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ უარი ეთქვა „კომპანიის“ მიერ მომწოდებლებისგან მიღებულ დღგ-ის დეკლარაციებში არსებული ხარვეზების გამო. „კომპანიის“ აზრით ამ საგადასახადო აქტივების წარმატებული ამოღება საეჭვოა (მე-19 შენიშვნა).

12 სხვა საოპერაციო ხარჯები

	2016	2015
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	3,810	3,821
დაზღვევა (ა)	2,418	2,248
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	2,218	2,148
ოფისის იჯარა და ტექნიკური მომსახურება	1,599	1,401
საწევრო შენატანები (ბ)	1,375	1,290
ჯარიმები და სანქციები	917	141
საქველმოქმედო და სოციალური ხარჯები	658	708
პროფესიული მომსახურება	611	683
მგზავრობის და წარმომადგენლობითი ხარჯები	531	627
რესტრუქტურისებული დებიტორული დავალიანების საწყისი ცნობის შედეგად მიღებული ზარალი (მე-17 შენიშვნა)	370	456
საკანცელარიო საქონელი	257	238
ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან დაკავშირებული დანაკარგები	210	287
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზარალი, რომელიც ასახულია სარეალიზაციო ღირებულებით, წმინდა	99	610
სხვა	3,129	2,290
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	18,202	16,948

(ა) 2014 წლის 30 დეკემბერს „კომპანიამ“ გააფორმა ძირითადი საშუალებების დაზღვევის ხელშეკრულება 6 თვის ვადით. 2015 წლის 1 ივლისს დაზღვევის ხელშეკრულების ვადა გახანგრძლივდა 3 წლით. 2016 და 2015 წლებში „კომპანიის“ აქტივები დაზღვეული იყო მწყობრიდან გამოსვლისა და ბუნებრივი კატასტროფებისგან 555,201 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

(ბ) საწევრო შენატანები მოიცავს „სემეკ“-ის განაწილების ლიცენზიის მოსაკრებელს და „ესკო“-ს საკომისიო მოსაკრებელს.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

13 ფინანსური შემოსავლები და დანახარჯები

	2016	2015
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი ანაბრებზე	1,927	1,293
ანარიცხების დროითი შეფასების ცვლილება (მე-11 შენიშვნა)	-	508
სულ ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	1,927	1,801
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		
საპროცენტო ხარჯი	(1,142)	(1,433)
ანარიცხების დროითი შეფასების ცვლილება (მე-11 შენიშვნა)	(79)	-
სულ ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	(1,221)	(1,433)

14 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯების ძირითადი კომპონენტები, რომლებიც ასახულია საერთო შემოსავლებში 2016 წლის 31 დეკემბერს და 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის, შემდეგია:

	2016	2015
დარიცხული მიმდინარე მოგების გადასახადი	(84)	-
გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია დროებითი განსხვავების წარმოქმნასა და შებრუნებასთან	4,828	(596)
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯები)	4,744	(596)

მოგების გადასახადის ხარჯისა და სააღრიცხვო მოგების საქართველოს შიდა საგადასახადო განაკვეთზე ნამრავლის შედარება 31 დეკემბრით დასრულებული 2016 და 2015 წლებისთვის ასეთია:

	2016	2015
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე	(34,094)	(7,167)
გადასახადის თეორიული დარიცხვა 15%-ით	(5,114)	(1,075)
დამატებითი დასაბეგრი მოგება ზენორმატიული ტექნიკური დანაკარგებიდან (ა)	(1,006)	(474)
დღგ-ს ხარჯები, რომლებიც არ ექვემდებარება გამოქვითვას ტექნიკური დანაკარგებიდან (ა)	(181)	(85)
აღურიცხავი გადავადებული საგადასახადო აქტივების ასახვა სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	-	1,076
საგადასახადო ეფექტი დაუბეგრავ შემოსავლებზე	617	487
საგადასახადო ეფექტი ხარჯებზე, რომლებიც არ ექვემდებარება გამოქვითვას	(580)	(525)
საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შედეგები (ბ)	11,008	-
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯები) წლის განმავლობაში	4,744	(596)

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

14 მოგების გადასახადი (გაგრძელება)

(ა) დამატებითი დასაბეგრი შემოსავლები ზენორმატიული ტექნიკური დანაკარგებიდან

10(ა) შენიშვნის შესაბამისად, „კომპანიას“ აქვს ზენორმატიული ტექნიკური დანაკარგები. სსკ-ის შესაბამისად, „კომპანია“ ვალდებულია აღიაროს ელექტროენერგიის მიწოდება დანაკარგების დამტკიცებული ნორმის ზემოთ, რაც წარმოქმნის დასაბეგრ მოგებას, რომელიც არ აისახება ფასს-ის შესაბამისად. „კომპანია“ ასევე ვალდებულია დღგ-ით დაბეგროს ასეთი პოტენციური შემოსავლები, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ხარჯებს, რომელიც არ ექვემდებარება დაქვითვას.

(ბ) საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შედეგები

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიამ“ მთლიანად შეაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეეფასებინა 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს გაუნაწილებელ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად. საგადასახადო ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება მსგავსი მოგების განაწილებას, არ ახდენს გავლენას „კომპანიის“ 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

14 მოგების გადასახადი (გაგრძელება)

მოდრაობა დროებით სხვაობებში

	1 იანვარი, 2015	მოგებაზე ან ზარალზე დარიცხული	სხვა სრულ შემოსავალზე დარიცხული	31 დეკემბერი, 2015	მოგებაზე ან ზარალზე დარიცხული	სხვა სრულ შემოსავალზე დარიცხული	31 დეკემბერი, 2016
ძირითადი							
საშუალებები	(10,463)	(4,232)	–	(14,695)	14,695	–	–
არამატერიალური							
აქტივები	253	50	–	303	(303)	–	–
სავაჭრო და სხვა							
დებიტორული							
დავალიანება	2,693	1,008	–	3,701	(3,701)	–	–
სასაქონლო-							
მატერიალური							
მარაგები	141	90	–	231	(231)	–	–
რეზერვები	1,813	155	–	1,968	(1,968)	–	–
სავაჭრო და სხვა							
კრედიტორული							
დავალიანება	815	74	–	889	(889)	–	–
საპენსიო							
ვალდებულებები	163	14	–	177	(177)	–	–
საპენსიო							
ვალდებულებები							
ს გადაფასება	13	–	(33)	(20)	–	20	–
სახელმწიფო							
გრანტები	356	(5)	–	351	(351)	–	–
სესხები და							
კრედიტები	(3)	(6)	–	(9)	9	–	–
საგადასახადო							
ზარალის							
გადავადება	–	2,256	–	2,256	(2,256)	–	–
გადავადებული							
საგადასახადო							
აქტივი/(ვალდე- ბულება) წმინდა	(4,219)	(596)	(33)	(4,848)	4,828	20	–

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

15 ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანები და მოწყო- ბილობები	საოფისე აღჭურვი- ლობა და ინვენტარი	ავტოსატრან- სპორტო საშუალე- ბები	დაუმთავრე- ბელი მშენე- ბლობა და სათადარი- გო ნაწილები*	სულ
ისტორიული ღირებულება							
ნაშთი 2015 წლის							
1 იანვრისთვის	10,054	29,112	199,048	17,126	8,547	20,266	284,153
შემოსვლები	69	63	529	—	—	31,266	31,927
შიდა გადაცემები	79	1,443	25,556	2,570	940	(30,588)	—
გასხვისება და ჩამოწერა	(42)	(217)	(837)	(306)	(356)	—	(1,758)
ნაშთი 2015 წლის							
31 დეკემბრისთვის	10,160	30,401	224,296	19,390	9,131	20,944	314,322
შემოსვლები	110	53	305	31	—	30,026	30,525
შიდა გადაცემები	73	1,734	28,717	1,246	1,156	(32,926)	—
გასხვისება და ჩამოწერა	(15)	(112)	(1,032)	(577)	(433)	—	(2,169)
ნაშთი 2016 წლის							
31 დეკემბრისთვის	10,328	32,076	252,286	20,090	9,854	18,044	342,678
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
ნაშთი 2015 წლის							
1 იანვრისთვის	3,609	13,412	93,173	11,778	5,562	—	127,534
დარიცხვა წლის განმავლობაში	—	535	5,993	1,316	539	—	8,383
გასხვისება და ჩამოწერა	—	(185)	(281)	(260)	(315)	—	(1,041)
ნაშთი 2015 წლის							
31 დეკემბრისთვის	3,609	13,762	98,885	12,834	5,786	—	134,876
დარიცხვა წლის განმავლობაში	—	588	6,768	1,479	597	—	9,432
გასხვისება და ჩამოწერა	—	(24)	(435)	(466)	(317)	—	(1,242)
ნაშთი 2016 წლის							
31 დეკემბრისთვის	3,609	14,326	105,218	13,847	6,066	—	143,066
წმინდა საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,551	16,639	125,411	6,556	3,345	20,944	179,446
წმინდა საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,719	17,750	147,068	6,243	3,788	18,044	199,612

დაუმთავრებელი მშენებლობა ასახავს იმ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული ექსპლუატაციაში, აგრეთვე სამშენებლო კომპანიებისთვის გადაცემულ სათადარიგო ნაწილებსა და საავანსო გადახდებს. სათადარიგო ნაწილები შედის მუხლებში, რომლებიც გამოიყენება „კომპანიის“ ძირითადი საშუალებების შეკეთების ან შეცვლისთვის, მაგალითად, სატრანსპორტო ქვესადგურების ნაწილები და კაბელები. შესაბამისად, ისინი კლასიფიცირებულია ძირითად საშუალებებში, მაგრამ არ ერიცხება ამორტიზაცია მათ გაერთიანებამდე აღნიშნულ აქტივებში და ამორტიზაციის დარიცხვა განხორციელდება ამ აქტივის დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადის მიხედვით.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

16 არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	დასანერგი პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ისტორიული ღირებულება			
2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	5,877	380	6,257
შემოსვლები	15	583	598
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,892	963	6,855
შემოსავლები	719	109	828
შიდა გადაცემა	1,072	(1,072)	–
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,683	–	7,683
ამორტიზაცია			
2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4,687	–	4,687
დარიცხვა წლის განმავლობაში	778	–	778
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,465	–	5,465
დარიცხვა წლის განმავლობაში	369	–	369
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,834	–	5,834
წმინდა საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	427	963	1,390
წმინდა საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,849	–	1,849

არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება საბუღალტრო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფისაგან, აგრეთვე პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი ლიცენზიებისაგან. სრულად ამორტიზებული, მაგრამ ჯერ კიდევ ექსპლუატაციაში მყოფი არამატერიალური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულება შეადგენს 4,775 ლარს (2015: 4,599 ლარი).

17 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2016	31 დეკემბერი 2015
რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება, გრძელვადიანი ნაწილი		
რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ა) გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (მე-11 შენიშვნა)	4,392 (573)	5,375 (731)
სულ გრძელვადიანი რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება	3,819	4,644
მიმდინარე სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
საყოფაცხოვრებო სექტორი	59,548	65,293
კომერციული და სამრეწველო სექტორი	41,829	42,480
სახელმწიფო სექტორი	11,599	12,922
რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება, მიმდინარე ნაწილი (ა) გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (მე-11 შენიშვნა)	1,925 (63,530)	2,170 (74,528)
სულ მიმდინარე სავაჭრო დებიტორული დავალიანება	51,371	48,337
სხვა დებიტორული დავალიანება (ბ)	7,055	7,466
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (მე-11 შენიშვნა)	(6,305)	(6,466)
სულ მიმდინარე სხვა დებიტორული დავალიანება	750	1,000
სულ მიმდინარე სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	52,121	49,337
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	55,940	53,981

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

17 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

(ა) რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება

მომხმარებელთაგან ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების ამოღების ხელშესაწყობად, „კომპანია“ მათთან დებს რესტრუქტურიზაციის შესახებ ხელშეკრულებებს, რომელთა შესაბამისად ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანება გადანაწილდება მომავალ პერიოდებზე ყოველთვიური თანაბარი შენატანებით. მომხმარებელთა რესტრუქტურიზებულ დებიტორულ დავალიანებას არ ერიცხება პროცენტი. ხელმძღვანელობის აზრით, სავაჭრო დებიტორული დავალიანების რესტრუქტურიზაციის შედეგად საგრძნობლად იცვლება არსებული ფინანსური აქტივის პირობები და ეს აღირიცხება, როგორც თავდაპირველი სავაჭრო დებიტორული დავალიანების დაფარვა და ახალი რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების აღიარება. მისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ახალი ფინანსური აქტივების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კომერციული ბანკების მიერ მსგავსი მომხმარებლებისთვის შეთავაზებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენის მიხედვით.

რესტრუქტურიზებული დებიტორული დავალიანების თავდაპირველი აღიარებით მიღებულმა ზარალმა შეადგინა 370 ლარი 2016 წელს (2015: 456 ლარი) (მე-12 შენიშვნა).

საპროცენტო შემოსავლებმა რესტრუქტურიზაციით დებიტორული დავალიანების დისკონტის ამორტიზაციიდან 2016 წელს 1,464 ლარი შეადგინა (2015: 1,608 ლარი) (მე-8 შენიშვნა).

(ბ) სხვა დებიტორული დავალიანება

სხვა დებიტორული დავალიანება მოიცავს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ („სსე“), საქართველოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ორგანიზაციის, დებიტორულ დავალიანებას, რომელიც შეადგენს 4,666 ლარს (2015: 4,402 ლარი). ეს დებიტორული დავალიანება „კომპანია“ 2005 წელს სსე-ს სხვადასხვა კონტრაგენტისგან შეისყიდა. ამჟამად „სსე“ გაკოტრებიდან რეაბილიტაციის რეჟიმშია. „სსე“-ს ყველა ძველი ვალდებულება, „კომპანიის“ მიმართ არსებული დავალიანების ჩათვლით, დაჯგუფებულია დაფარვის რიგითობის მიხედვით. „სსე“-ის მიმართ გაკოტრებასთან დაკავშირებით გამოყენებული სამართალდამცავი ზომების მიმდინარე გეგმის საფუძველზე. „სსე“, სავარაუდოდ, „კომპანიის“ წინაშე თავისი ვალდებულებების დაფარვას დაიწყებს 2030 წელს. ხელმძღვანელობამ ამ დებიტორული დავალიანებისათვის შექმნა სრული რეზერვი, რადგან „სსე“-ს მიერ გაკოტრებისაგან დაცვის გეგმის შესრულების სათანადო სიზუსტით პროგნოზირება შეუძლებელია.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

17 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

(გ) სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურება

2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო დებიტორული დავალიანების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით ასეთია:

	სულ	არც ვადაგა- დაცილებული, არც გაუფასუ- რებული	ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული				
			<60 დღე	60-120 დღე	120-180 დღე	180-360 დღე	>360 დღე
2016	55,940	53,897	537	255	125	395	731
2015	53,981	51,336	672	296	87	197	1,393

უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვში ცვლილებები იხილეთ მე-11 შენიშვნაში.

18 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2016	2015
ნედლეული და მასალები	5,379	5,303
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3,562	3,702
სასაქონლო-მატერიალური მარაგები, სულ	8,941	9,005

2016 წლის განმავლობაში აღიარებული იქნა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით აღრიცხული სასაქონლო-მატერიალურ მარაგებზე გაწეული ხარჯები 99 ლარის ოდენობით (2015: 610 ლარი).

19 გადახდილი ავანსები

	2016	2015
მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	460	1,185
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (მე-11 შენიშვნა)	(20)	(929)
სულ მიმწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები	440	256
წინასწარ გადახდილი დაზღვევა	1,156	1,185
ანაზღაურებადი დღგ	3,380	3,464
სხვა საგადასახადო აქტივები	11	7
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (მე-11 შენიშვნა)	(3,259)	(3,259)
სულ საგადასახადო აქტივები	132	212
სულ გადახდილი ავანსები	1,728	1,653

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

20 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2016	2015
მიმდინარე ანგარიშები და მოთხოვნამდე ანაზრები (ა)	18,356	13,133
კორპორაციული ბარათები	91	32
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	18,447	13,165

(ა) მიმდინარე ანგარიშები და მოთხოვნამდე ანაზრები

მიმდინარე ანგარიშები და მოთხოვნადი ანაზრები განთავსებულია საქართველოს ბანკებში. სახელშეკრულებო ვადა 1-დან 3 თვემდეა. საშუალოდ, 2016 წელს მოთხოვნამდე ანაზრების წლიური განაკვეთი 3.0%-დან 10.3%-მდეა (2015: 2.5%-დან 9.6%-მდე).

(ბ) შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრები

შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრების ანგარიშზე 2,085 ლარის ოდენობით (2015: 2,808 ლარი) განთავსებულია ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების თანახმად (22-ე შენიშვნა). ასევე ამ სათაურის ქვეშ განთავსებულია შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდისთვის“ და მერიის დასუფთავების სამსახურის სახელით მიღებული მოსაკრებლები (მე-8 შენიშვნა).

21 კაპიტალი

2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვეულებრივი აქციების ნებადართული და გამოშვებული რაოდენობაა 112,429,418, ხოლო თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 0.001 ლარი. აქციები ერთნაირი კლასისაა და თითოეულ აქციას შეესაბამება ერთი ხმა.

„კომპანიის“ აქციონერთა სტრუქტურა 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2015 წლის 31 დეკემბრისთვის ასეთი იყო:

„მშობელი კომპანია“	75,11%
სს „საპარტნიორო ფონდი“	24,53%
ფიზიკური პირები	0,36%
სულ	100,00%

2016 წლის განმავლობაში „კომპანიას“ არ გამოუცხადებია დივიდენდები. (2015: 8,802 ლარი). 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 8,784 ლარის დივიდენდები გადახდილ იქნა 2015 წელს გამოცხადებული დივიდენდებიდან (2015: 8,783 ლარი).

შემოსავალი აქციაზე

საბაზო მოგება ერთ აქციაზე გამოითვლება მოცემული წლისათვის „კომპანიის“ ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა წმინდა მოგების შეფარდებით წლის განმავლობაში აქციონერთა მფლობელობაში არსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილთან.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

21 კაპიტალი (გაგრძელება)

„კომპანიის“ შემცირებული მოგება თითოეულ აქციაზე ტოლია საბაზო მოგებისა თითოეულ აქციაზე, ვინაიდან არ არსებობს პოტენციურად შემცირებადი ჩვეულებრივი აქცია.

ქვემოთ მოცემულია მოგების და აქციების შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება ერთ აქციაზე საბაზო და შემცირებული მოგების გამოსათვლელად:

	2016	2015
ჩვეულებრივი აქციების მფლობელების წმინდა მოგება	38,720	6,761
ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილი ერთ აქციაზე საბაზო მოგების გამოსათვლელად	112,429,418	112,429,418
საბაზო და შემცირებული მოგება ერთ აქციაზე	0,00034	0,00006

სხვა რეზერვები

სხვა რეზერვები დაკავშირებულია დადგენილ გადასახდელიან პროგრამასთან მიმართებაში აღიარებულ აქტუარულ მოგებასა და ზარალთან (23-ე შენიშვნა).

22 პროცენტის სესხები და თამასუქები

	2016	2015
გრძელვადიანი		
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან მიღებული სესხი (ა)	15,418	18,600
გადასახდელი თამასუქები (ბ)	194	335
სულ გრძელვადიანი სესხები და თამასუქები	15,612	18,935
მიმდინარე		
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან მიღებული სესხი, მიმდინარე ნაწილი (ა)	5,297	4,802
გადასახდელი თამასუქები, მიმდინარე ნაწილი (ბ)	139	139
სულ მიმდინარე სესხები და თამასუქები	5,436	4,941
სულ სესხები და თამასუქები	21,048	23,876

(ა) ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისგან მიღებული სესხი

2010 წლის 15 დეკემბერს „კომპანიამ“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან გააფორმა ხელშეკრულება 25,000 აშშ დოლარის ოდენობის სესხზე. 2011 წლის 31 დეკემბრისთვის „კომპანიას“ სრულად ჰქონდა ათვისებული ეს სესხი. სესხის ვალუტა აშშ დოლარი, ერიცხება საპროცენტო განაკვეთი LIBOR-ის მიხედვით, რომელსაც ემატება 3.5%-5.0%-იანი წლიური მარჟა. მარჟა მიზნულია „კომპანიის“ და მისი „საბოლოო მშობელი კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე და ეყრდნობა წლიური ფინანსური ვალის შეფარდებას EBITDA-სთან (შემოსავლები პროცენტამდე, გადასახადამდე, ცვეთამდე და ამორტიზაციამდე). სესხის დაფარვა უნდა დაიწყოს 2013 წლის 4 მაისიდან ნახევარწლიური თანაბარი შენატანებით, ბოლო შენატანით 2020 წლის 4 ნოემბერს.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

22 პროცენტის სესხები და თამასუქები (გაგრძელება)

(ა) ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისგან მიღებული სესხი (გაგრძელება)

2015 წლის განმავლობაში „კომპანია“ განახორციელა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სესხის წინასწარებით გადახდა 6,700 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (დაახლოებით 14,795 ლარი).

ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისგან მიღებულ სესხზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა 2016 წელს 933 ლარი (2015: 1,199 ლარი) შეადგინა.

ფინანსური ხელშეკრულების პირობების შესრულება

სასესხო ხელშეკრულება „კომპანიას“ გარკვეულ ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებებს აკისრებს. აღსანიშნავია ის, რომ „კომპანიის“ სესხის დაფარვის კოეფიციენტი უნდა იყოს არანაკლებ 1.2, ხოლო პროცენტამდე, გადასახადამდე, ცვეთამდე და ამორტიზაციამდე შემოსავლებთან ფინანსური ვალის თანაფარდობის კოეფიციენტი - მაქსიმუმ 4.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანია“ აკმაყოფილებდა ყველა ფინანსური ხელშეკრულების შემზღუდველი პირობის მოთხოვნას.

(ბ) გრძელვადიანი თამასუქები

„კომპანიას“ აქვს გრძელვადიანი უპროცენტო გადასახდელი თამასუქები ლარში. ეს თამასუქები წარმოიშვა 1998 წელს „კომპანიის“ თავდაპირველი პრივატიზაციის დროს „კომპანიის“ მიერ გარკვეული ყოფილი მიმწოდებლების მიმართ არსებულ წინა სავალ ვალდებულებებზე უარის თქმასთან დაკავშირებით. ამ გადასახდელი თამასუქების საბალანსო ღირებულება შეფასებული იყო 15.4% დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით გადახდის დადგენილი თარიღის დადგომამდე. ითვლება, რომ მოცემული დისკონტირების განაკვეთი მიახლოებულია სესხის ეკვივალენტურ მომგებიანობასთან საქართველოს ბაზარზე მისი წარმოქმნის მომენტში და მას შემდეგ არ შეცვლილა.

თამასუქების უმეტესობის შემთხვევაში, იმის გამო, რომ მათი დაფარვის ვადა 2016 წლის 31 დეკემბრიდან მინიმუმ 82 წლის შემდეგ იწყება, ამორტიზებული ღირებულება ნულს შეადგენს (2015: ნული).

გადასახდელია შემდეგი თამასუქები:

		ნომინალური ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ნომინალური ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფინანსთა სამინისტრო	2098	132,000	—	132,000	—
ორთაჭალა	2098	388	—	388	—
ზაჰესი	2098	119	—	119	—
საცხენისი	2098	73	—	73	—
სს „თელასი“	2098	50	—	50	—
ორბი	2098	9	—	9	—
ელექტროგადამცემა	2021	360	333	560	474
სულ გადასახდელი თამასუქები		132,999	333	133,199	474

გადასახდელ თამასუქებზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 60 ლარი (2015: 79 ლარი).

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

23 მომუშავეთა გასამრჯელოები

2014 წელს „კომპანია“ დანერგა დადგენილ გადასახდელიანი შრომითი საქმიანობის შემდგომი პერიოდის გასამრჯელოს პროგრამა. „კომპანია“ თანამშრომლებისათვის უზრუნველყოფს გარკვეულ შრომითი საქმიანობის შემდგომ გასამრჯელოებს გასამრჯელოების ოდენობა დამოკიდებულია „კომპანიაში“ მუშაობის სტაჟზე. აღნიშნული გეგმა არ არის დაფინანსებული.

შრომითი საქმიანობის დასრულების შემდგომი პერიოდის გასამრჯელოს პროგრამა ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკს და ცვლილებებს პენსიონერთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაში.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია წმინდა გასამრჯელოს ხარჯის კომპონენტები, რომლებიც ასახულია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, ასევე თანხები, რომლებიც ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

	2016	2015
წმინდა დანახარჯები გასამრჯელოზე		
მიმდინარე მომსახურების ღირებულება	47	54
გასამრჯელოს ვალდებულებაზე დარიცხული წმინდა საპროცენტო ხარჯები	108	102
წმინდა დანახარჯები გასამრჯელოზე	155	156

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ წმინდა დანახარჯები თანამშრომელთა ანაზღაურებაზე შეადგენს 1,346 ლარს (2015: 1,080 ლარი) და შედგება თანამშრომლების ანაზღაურების ვალდებულებისგან, რადგან „კომპანიას“ არ აქვს საპენსიო აქტივები. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ მოსალოდნელი შენატანები საპენსიო გეგმაში შემდგომი წლიური ანგარიშგების პერიოდისათვის შეადგენს 76 ლარს (2015: 64 ლარი).

მოძრაობა დადგენილ გადასახდელიანი პროგრამით გათვალისწინებულ ვალდებულებაში

	2016	2015
1 იანვრის მდგომარეობით	1,080	1,173
მიმდინარე მომსახურების ღირებულება	47	54
ხარჯები პროცენტების გადახდაზე	108	102
აქტუარული ზარალი, დემოგრაფიულ დაშვებებში ცვლილებებიდან გამომდინარე	26	(68)
აქტუარული ცვლილებები ფინანსური დაშვებების ცვლილებიდან გამომდინარე	111	(179)
გეგმასთან დაკავშირებული ვალდებულებების კორექტირება, გადახდილი ანაზღაურება	1	24
	(27)	(26)
31 დეკემბრის მდგომარეობით	1,346	1,080
მიმდინარე	76	64
გრძელვადიანი	1,270	1,016
სულ მომუშავეთა გასამრჯელოები	1,346	1,080

ქვემოთ მოცემულია ძირითადი დაშვებები, რომლებიც „კომპანიის“ გამოიყენა დადგენილ გადასახდელიანი პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების განსაზღვრისას:

	2016	2015
დისკონტირების განაკვეთი	9.51%	10.33%
ზრდა ფინანსური დახმარების გადახდებში	0%	0%

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

23 მომუშავეთა გასამრჯელოები (გაგრძელება)

დადგენილ გადასახდელიანი პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულების საშუალო ხანგრძლივობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის შეადგენს 12.97 წელს.

მნიშვნელოვანი დაშვებისათვის მგრძნობელობის რაოდენობრივი ანალიზი, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოცემულია ქვემოთ:

ცვლილება დაშვებაში/ზემოქმედება დადგენილ გადასახდელიანი პროგრამის საპენსიო გეგმასთან დაკავშირებულ ვალდებულებაზე 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2016	2015
დისკონტირების განაკვეთი (+1% წლიური)	134	104
დისკონტირების განაკვეთი (-1% წლიური)	(159)	(123)
ფინანსური დახმარების გასამრჯელოს ზრდა (+1% წლიური)	(174)	(136)
ფინანსური დახმარების გასამრჯელოს შემცირება (-1% წლიური)	147	115
„კომპანიიდან“ თანამშრომლების გადინების წლიური ნორმა (+1% ყველა ასაკისათვის)	79	60
„კომპანიიდან“ თანამშრომლების გადინების წლიური ნორმა (-1% ყველა ასაკისათვის)	(52)	(69)

მგრძნობელობის ზემოაღნიშნული ანალიზი განსაზღვრული იქნა მეთოდით, რომელიც ახდენს ექსტრაპოლაციას ზეგავლენისა დადგენილ გადასახდელიანი პროგრამით გათვალისწინებულ ვალდებულებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული ძირითადი დაშვებების გონივრული ცვლილების შედეგად.

24 სახელმწიფო გრანტები

მიღებული სახელმწიფო გრანტების ცვლილებების ანალიზი შემდეგნაირად შეიძლება:

	2016	2015
1 იანვრის მდგომარეობით	2,325	2,361
წლის განმავლობაში მიღებული	87	436
აღიარებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (მე-8 შენიშვნა)	(580)	(472)
31 დეკემბრის მდგომარეობით	1,832	2,325
მიმდინარე	468	447
გრძელვადიანი	1,364	1,878
სულ სახელმწიფო გრანტები	1,832	2,325

სახელმწიფო გრანტები მიიღება არაფულადი აქტივების, როგორცაა მიწა და ელექტრომომწყობილობა, გადმოცემის სახით. „კომპანია“ აფასებს აქტივების სამართლიან ღირებულებას და აქტივებს და გრანტებს ამ სამართლიანი ღირებულებით აღრიცხავს. მიღებული აქტივების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად „კომპანია“ დამოუკიდებელ შემფასებელს ქირაობს. გრანტების პირობები მოცემულია 29-ე შენიშვნაში.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

25 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2016	2015
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება ელექტროენერგიის მიმწოდებლების მიმართ (ა)	40,903	49,248
„მშობელი კომპანიისთვის“ გადასახდელი თანხები (ბ)	19,415	17,736
ელექტროენერგიის გადაცემის და დისპეტჩერიზაციის დავალიანება სხვა (გ)	9,420	8,362
	13,691	14,371
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	83,429	89,717

(ა) სავაჭრო კრედიტორული დავალიანება ელექტროენერგიის მიმწოდებლების მიმართ

„კომპანია“ ელექტროენერგიის შესყიდვას ძირითადად აწარმოებს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიებისგან. დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ 30-ე შენიშვნა.

(ბ) „მშობელი კომპანიისთვის“ გადასახდელი თანხები

მართვისა და ტექნიკური მხარდაჭერისთვის „მშობელი კომპანიისათვის“ გადასახდელი თანხები წარმოიქმნა 2015 წლის 1 იანვრამდე. დავალიანება ვადაგადაცილებულია. „კომპანიამ“ ეს თანხები სრულად გადაიხადა 2017 წლის იანვარში (31-ე შენიშვნა).

(გ) სხვა კრედიტორული დავალიანება

2010 წლის 2 თებერვალს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც „კომპანიას“ დაეკისრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სასარგებლოდ 7,431 ლარის გადახდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, სამინისტრო და „კომპანია“ შეთანხმდნენ, რომ სამინისტრო უარს იტყვის ამ ვალდებულებაზე, „კომპანიის“ მიერ ელექტრული ქსელის რეაბილიტაციისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში 9,618 აბონენტისათვის აღრიცხვის ინდივიდუალური კვანძების მოწყობაში ინვესტირების სანაცვლოდ 2011 წლის მაისის ბოლომდე.

„კომპანიამ“ შეასრულა ვალდებულება და წარუდგინა საჭირო დოკუმენტაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, თუმცა პასუხი არ მიუღია. შესაბამისად, ეს ვალდებულება შეყვანილია სხვა კრედიტორული დავალიანების კატეგორიაში 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

26 სხვა საგადასახადო დავალიანება, წმინდა

	2016	2015
წინასწარ გადახდილი მოგების მიმდინარე გადასახადი	1,623	1,744
სულ წინასწარ გადახდილი გადასახადები	1,623	1,744
	2016	2015
გადასახდელი დღგ	15,212	13,758
საშემოსავლო გადასახადები	1,054	813
ქონების გადასახადი	237	125
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	148	–
სულ გადასახდელი გადასახადები	16,651	14,696
სულ საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	15,028	14,696

დამატებული ღირებულების გადასახადში შედის გადავადებული დღგ 3,512 ლარის (2015: 4,400 ლარი) ოდენობით, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შესაბამისი ორგანოებისათვის მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაბამისი დებიტორული დავალიანების ბალანსი ამოღებული ან ჩამოწერილი იქნება. თანხა არ ექვემდებარება დისკონტირებას იმის გათვალისწინებით, რომ ანაზღაურების ან ჩამოწერის ვადა არ არის განსაზღვრული და, ვინაიდან ასანაზღაურებელი თანხის ამოღება ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი.

27 ფინანსური რისკების მართვა

„კომპანია“ განიხილავს თავის რისკებს ფინანსური რისკების კონტექსტში (საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო, ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთის რისკები), საოპერაციო და იურიდიული რისკების ჩათვლით. „კომპანია“ განაგრძობს თავისი ფუნქციების შემუშავებას საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვაში. „კომპანიის“ მიერ დღეისათვის მიღებული ზომები, მათ შორის „საბოლოო მშობელი კომპანიის“ მიერ განხორციელებული ზედამხედველობა, აგრეთვე მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მიღებული ზომები მიზნად ისახავს შიდა წესებისა და პროცედურების შესაბამისი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მინიმუმამდე დასაყვანად, როგორც ამჟამად, ისე მომავალში.

(ა) საკრედიტო რისკი

„კომპანია“ ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რაც გულისხმობს იმას, რომ მხარე ვერ შეძლებს დავალიანების დროულად და სრული მოცულობით გადახდას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად აყენებს „კომპანიას“ საკრედიტო რისკის ქვეშ, ძირითადად, შედგება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, რესტრუქტურისებული დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისგან. „კომპანიას“ თბილისში მონოპოლისტური მდგომარეობა აქვს, მისი საქმიანობა რეგულირებადია, ამიტომ მისი შესაძლებლობა აირჩიოს სასურველი მომხმარებლები, შეზღუდულია. „კომპანია“ საკრედიტო რისკის მართვას ახორციელებს იმ მომხმარებელთა ქსელიდან დროული გათიშვით, რომლებიც არ იხდიან ელექტროენერგიის დავალიანებას, მაგრამ „კომპანიის“ მომხმარებელთა რაოდენობის და მათი გეოგრაფიული განაწილების გათვალისწინებით, შესაძლებელია იმის დაშვება, რომ ყველა არგადამხდელი მომხმარებელი არ იქნება დროულად გათიშული. ამასთან, არსებობს გათიშულ მომხმარებელთა არასანქცირებული ჩართვის რისკი.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

(ა) საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

„კომპანია“ ასევე ემსახურება სოციალური სფეროს მომხმარებლებს, რომელთა გათიშვას ქსელიდან „კომპანია“ ვერ შეძლებს მათი ვალის არასათანადო მომსახურების შემთხვევაშიც კი. ხელმძღვანელობამ შეიმუშავა კონსერვაციული დარეზერვების პოლიტიკა, რომელიც ნებისმიერი პრობლემური მომხმარებლის დროული იდენტიფიცირებისა და ადეკვატური დარეზერვების საშუალებას იძლევა. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, და მთლიანი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების ამოღებაზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ „კომპანიას“ არ ემუქრება გადაუხდელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი, რომელიც გადააჭარბებს დადგენილ რეზერვებს.

„კომპანიას“ არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, რადგან სამომხმარებლო პორტფელი დივერსიფიცირებულია საყოფაცხოვრებო და კომერციული სექტორების დიდი რაოდენობის მომხმარებლებს შორის.

ფულადი სახსრების ჭარბი ნაშთი განთავსებულია ფინანსურ ინსტიტუტებში, რომლებსაც დეპონირების თარიღისთვის ჰქონდა დეფოლტის მინიმალური რისკი.

(ბ) საბაზრო რისკი

„კომპანიაზე“ ზემოქმედებას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი, ძირითადად, შეეხება „კომპანიისათვის“ დადგენილ ტარიფებს და ზემოქმედებას ახდენს შესასყიდი ელექტროენერგიის ფასზე და აბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ მონაწილეობს ამ ტარიფების გარკვეული დონეების დადგენაში, ტარიფის დონის დადგენასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები მის კონტროლს არ ექვემდებარება.

გარდა ამისა, „კომპანიას“ აქვს ღია საპროცენტო და სავალუტო პოზიცია, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. ძირითადი უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება მოქმედებს „კომპანიის“ ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია აშშ დოლართან მიმართებაში ლარის კურსის მოსალოდნელი ცვლილების გავლენა წმინდა მოგებაზე, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობით:

	გამყარება	გაუფასურება
2016		
USD (14.00% ცვლილება)	5,396	(5,396)
2015		
USD (15.00% ცვლილება)	5,904	(5,904)

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

(ბ) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებული ბაზრის არარსებობის გამო, ხელმძღვანელობა ვერ ახორციელებს „კომპანიის“ სავალუტო რისკის ჰეჯირებას.

„კომპანიას“ აქვს შემდეგი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში:

	აშშ დოლარში გამოხატული	
	2016	2015
შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრები	2,085	2,808
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	534	51
პროცენტიანი სესხები	(20,714)	(23,403)
საეაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(1,036)	(1,080)
„მშობელი კომპანიისთვის“ გადასახდელი თანხები	(19,415)	(17,736)
ნეტო-პოზიცია 31 დეკემბრის მდგომარეობით	(38,546)	(39,360)

სხვა ვალუტებში გამოხატული ანგარიშები და შესაბამისი ცვლილებები სავალუტო კურსებში რისკის ანალიზისთვის არ არის აქტუალური.

(გ) საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი

საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი გამოიხატება „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე საპროცენტო განაკვეთების მოძრაობის უარყოფით ზეგავლენაში, რაც აისახება მოზიდულ ფინანსურ საშუალებებზე დარიცხული პროცენტების ზრდით ან გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან მიღებული შემოსავლის შემცირებით. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ მოზიდული სახსრები ექვემდებარება პროცენტულ განაკვეთთან დაკავშირებულ რისკს, რადგან EBRD-ისგან მიღებულ სესხს აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი (22-ე შენიშვნა).

ქვემოთ მოცემული ცხრილში ნაჩვენებია სენსიტიურობა გონივრულად მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ, რომლებსაც შეუძლია ზემოქმედება იქონიოს სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების საპროცენტო განაკვეთების ნაწილზე, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობით, „კომპანიის“ მოგებაზე დაბეგვრამდე შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს სესხების ცვალებად განაკვეთზე შემდეგნაირად:

	საბაზისო ერთეულის ზრდა/კლება	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე
2016	+/-60	(129)/129
2015	+/-60	(140)/140

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

(დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების მეშვეობით. „კომპანიის“ მიმდინარე ვალდებულებები ძირითადად დაკავშირებული მხარეების მიმართ აქვს. „კომპანიის“ ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს ანიჭებს „კომპანიას“ საკმარის მოქნილობას დაფარვის ვადებთან მიმართებით, რაც მომავალში აუცილებელია ბიზნესში საკმარისი ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც გაანალიზებულია დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. ვადების ცხრილში ნაჩვენებია თანხები წარმოადგენს ფულადი სახსრების სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ნაკადებს.

გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წელზე ნაკლები	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტე	სულ
პროცენტიანი სესხები	6,054	5,810	10,888	–	22,752
გაცემული გადასახდელი თამასუქები	139	139	81	132,639	132,998
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	83,429	–	–	–	83,429
სხვა ვალდებულებები	94	94	282	2,421	2,891
სულ მომავალი გადახდები	89,716	6,043	11,251	135,060	242,070

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ანალიზი, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წელზე ნაკლები	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტე	სულ
პროცენტიანი სესხები	5,546	5,357	14,941	–	25,844
გაცემული გადასახდელი თამასუქები	139	139	282	132,639	133,199
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	89,717	–	–	–	89,717
სულ მომავალი გადახდები	95,402	5,496	15,223	132,639	248,760

როგორც ცხრილიდან ჩანს, „კომპანიას“ აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის ვალდებულებები, რომლებიც უნდა დაიფაროს ერთი წლის განმავლობაში დაწყებული 2016 წლის 31 დეკემბრიდან. „კომპანიის“ გეგმების დეტალური განხილვა, თუ როგორ აპირებს ლიკვიდურობის საკითხების გადაწყვეტას იხილეთ მე-3 შენიშვნაში.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

(ე) კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული მიზანია შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა, რათა მიაღწიოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიულ მიზნებს და შეინარჩუნოს ბაზრის მონაწილეთა ნდობა.

28 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება საჭიროა იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი კომპეტენტურ თანახმა მხარეებს შორის კომერციული გარიგების დროს. მაგრამ განუსაზღვრელობებისა და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების დაფარვით.

„კომპანიის“ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ანალიზი შესაძლებელია შემდეგნაირად:

	დონე	31 დეკემბერი 2016		31 დეკემბერი 2015	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა დები-ტორული დავალიანება, რესტრუქტურისებული ჩათვლით (მე-17 შენიშვნა)	დონე 3	55,940	56,144	53,981	54,252
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-20 შენიშვნა)	დონე 1	18,447	18,447	13,165	13,165
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	დონე 1	2,419	2,419	2,939	2,939
ფინანსური ვალდებულებები					
პროცენტიანი სესხები და თამასუქები (22-ე შენიშვნა)	დონე 3	21,048	21,075	23,876	23,820
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (25-ე შენიშვნა)	დონე 3	83,429	83,429	89,717	89,717

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

28 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების და სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულების, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო;
- ▶ პროცენტიანი სესხების, თამასუქებისა და რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება ფასდება სამომავლო ფულადი ნაკადების ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო განაკვეთებით დისკონტირებით.

29 პირობითი ვალდებულებები

(ა) დავები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში „კომპანია“ წარმოადგენს მხარეს სასამართლო პროცესებში. ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, შემდგომ წარმოდგენილის გარდა, ხელმძღვანელობა არ არის ინფორმირებული რაიმე ფაქტობრივი, მიმდინარე ან მოსალოდნელი სარჩელების შესახებ, რომლებსაც შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა ჰქონდეს „კომპანიაზე“.

	31 დეკემბერი 2016		31 დეკემბერი 2015	
	დავები და სარჩელები, რომლებზეც აღიარებულია ანარიცხები (მე-11 შენიშვნა)	ცნობილი დავები და სარჩელები ანარიცხების გარეშე	დავები და სარჩელები, რომლებზეც აღიარებულია ანარიცხები (მე-11 შენიშვნა)	ცნობილი დავები და სარჩელები ანარიცხების გარეშე
მომხმარებლების და სხვა საჩივრები	4,123	1,490	5,186	888
სულ დავები	4,123	1,490	5,186	888

(ბ) მიწის საკუთრება

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავს კონკრეტულ დებულებებს „კომპანიის“ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით, რომლებზეც და რომელთა ქვეშაც განთავსებულია ელექტროენერგიის გადაცემისათვის განკუთვნილი „კომპანიის“ დანადგარები. კანონის შემდგომი დაზუსტების შედეგად, შესაძლებელია „კომპანიას“ მოუხდეს მიწის გარკვეულ ნაკვეთებზე საკუთრების უფლების მოპოვება ან იჯარის გადახდა სხვა მხარეებისათვის ამ მიწის ნაკვეთებით სარგებლობის სანაცვლოდ.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

29 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

(გ) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება. „კომპანია“ პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ „კომპანიას“ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან ან გარემოს აღდგენასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

(დ) სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

2010 წელს „კომპანიამ“ სახელმწიფოსგან მიიღო ელექტროენერგიის გადამცემი ინფრასტრუქტურა, რომლის საერთო სამართლიანი ღირებულება შეადგენს 942 ლარს (3G ქსელი). „კომპანია“ ვალდებული იყო ჩაეტარებინა აღნიშნული ქსელის რეაბილიტაცია, რომელიც „კომპანიამ“ დაასრულა და დასრულებასთან დაკავშირებული ანგარიში წარადგინა შესაბამის სახელმწიფო ორგანოში 2011 წლის 11 იანვარს. რეაბილიტაციასთან დაკავშირებულმა მთლიანმა საინვესტიციო თანხამ შეადგინა 728 ლარი. „კომპანიას“ არ მიუღია ოფიციალური შეტყობინება მისი სარეაბილიტაციო სამუშაოების მიღებისა და გრანტის პირობებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების შესრულებაზე.

„კომპანიას“ და ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად 2011 წლის 12 ივლისს „კომპანიამ“ მიიღო 2,500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის სამართლიანი ღირებულება არის 8 ლარი. „კომპანია“ ვალდებულია დააბანდოს არანაკლებ 2,000 ლარი მაღალი ძაბვის ქვესადგურის ასაშენებლად 2014 წლის 5 თებერვლამდე. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის N16.09.190 დადგენილების საფუძველზე შეთანხმება ქონების მართვის სააგენტოსა და სს „თელასს“ შორის წყნეთში 2,500 კვ.მ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით შეწყდა. ამავე დადგენილების შესაბამისად, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ სთხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სს „თელასის“ გათავისუფლება ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ქონების მართვის სააგენტოსა და სს „თელასს“ შორის დადებული შეთანხმებით დარიცხული ჯარიმების გადახდის ვალდებულებისაგან იმ პირობით, რომ სს „თელასი“ დაბა წყნეთს ელექტროენერგიით უზრუნველყოფს 3-6კვ საკაბელო ხაზის გაყვანით ქვესადგურ ბაგებიდან, 2015 წლის თებერვლის ბოლოსთვის. 2015 წლის 2 მარტს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დააკმაყოფილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თხოვნა. „კომპანიამ“ ააშენა ზემოაღნიშნული მაღალი ძაბვის ქვესადგური თუმცა, ამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დღისათვის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტიდან არ მოსულა თანხმობა ვალდებულების შესრულების შესახებ.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

29 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

(დ) სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

25 (გ) შენიშვნის შესაბამისად, „კომპანია“ ვალდებულია დაასრულოს ელექტროენერგიის ქსელის რეაბილიტაცია და კომპაქტურად განსახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა - 9,618 აბონენტის გამრიცხველიანება 2011 წლის მაისისთვის. „კომპანია“ შეასრულა ვალდებულება და წარუდგინა საჭირო დოკუმენტაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, თუმცა პასუხი არ მიუღია. შესაბამისად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანია“ არ ჩამოწერა ეს ვალდებულება.

30 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

(ა) გარიგებები ხელმძღვანელობასთან

ექვსი წევრისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭოს და ექვსი წევრისგან შემდგარი უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავდა ხელფასსა და სხვა დამატებით მოკლევადიან სარგებელს 53 ლარისა და 3,465 ლარის ოდენობით, შესაბამისად (2015: 60 ლარი და 2,080 ლარი).

(ბ) გარიგებები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

„კომპანიის“ მიერ დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ყველა გარიგება დადებულია საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან და აღწერილია ქვემოთ:

ელექტროენერგიის და მომსახურების შესყიდვა

	შესყიდვები 2016	შესყიდვები 2015	გადასახდელი თანხები 2016	გადასახდელი თანხები 2015
<i>ელექტროენერგიის შესყიდვა:</i>				
შპს მტკვარი ენერგეტიკა	30,388	92,368	—	25,287
სს ხრამქესი 1	18,323	18,488	8,146	7,894
სს ხრამქესი 2	31,438	32,127	8,471	8,249
<i>მართვის და ტექნიკური მომსახურების გასამრჯელო:</i>				
„მშობელი კომპანია“	—	—	19,415	17,736
<i>სხვა ხარჯები:</i>				
„მშობელი კომპანია“	35	47	18	22

ელექტროენერგიის შესყიდვა ხდება შპს „მტკვარი ენერგეტიკას“, სს „ხრამქესი 1“-სა და სს „ხრამქესი 2“-სგან ელექტროენერგიის რეგულირებული ტარიფებით.

„მშობელი კომპანიისათვის“ გადასახდელი ვადაგასული დავალიანება შეადგენს 19,415 ლარს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2015: 17,736 ლარი).

სს „ხრამქესი 1“-სათვის გადასახდელი ვადაგასული დავალიანება შეადგენს 5,863 ლარს 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სს „ხრამქესი 2“-სათვის გადასახდელი ვადაგასული დავალიანება შეადგენს 5,307 ლარს 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ მიჩნეული უნდა იქნას დაკავშირებულ მხარედ 2016 წლის 31 მაისამდე, რადგან კომპანია გაიყიდა მშობელი კომპანიის მიერ 2016 წლის ივნისის დასაწყისში.

სს თელასი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
ათას ლარში

31 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

„სემეკ“-ის N38 დადგენილების შესაბამისად, გარკვეული ტარიფები გაიზარდა, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ელექტროენერგიის ტრანზიტის ტარიფები შეადგენს 0.01270-დან 0.05686-მდე ლარი მვტ.სთ. ელექტროენერგიის გაყიდვის ტარიფები არასაყოფაცხოვრებო სექტორისათვის გაიზარდა 0.12324 - 0.16740 ლარი მვტ./სთ.

2017 წლის იანვარში, კომპანიამ სრულად გადაიხადა ვადაგასული დავალიანება „მშობელი კომპანიის“ მიმართ 19,415 ლარის ოდენობით.